# კონფლიქტების გაშუქების
# მონიტორინგი

## აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიებში

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Internews



# კონფლიქტების გაშუქების მონიტორინგი

## აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიებში

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Internews

რედაქტორი:

თამარ კინწურაშვილი

ავტორი:

თინა გოგოლაძე

მონიტორები:

საბა ტაველიშვილი
*აზერბაიჯანულენოვანი მედია*

ლუსინე პირიკიანი
*სომხურენოვანი მედია*

ყდის ფოტო:
Shutterstock: Rafael Ben-Ari

ანგარიში მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ „ინტერნიუსის“ მხარდაჭერით პროექტის „ხარისხიანი ჟურნალისტიკის მხარდაჭერა და ინფორმირებული სამეზობლო“ ფარგლებში.

# შესავალი

წინამდებარე კვლევა კონფლიქტების გაშუქების მედია მონიტორინგის შედეგებს ასახავს და სპეციფიკურად რეგიონული აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი პლატფორმების მონიტორინგის შედეგებს ეყრდნობა. კვლევა ასევე მოიცავს რუსულენოვან და ქართულენოვან სპეციფიკურ ფეისბუკ ანგარიშებზე კონფლიქტებთან მიმართებით გამოვლენილ თვისებრივ მონაცემებს.

კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ რამდენად არის დაცული კონფლიქტების გაშუქების დროს პროფესიული სტანდარტები, ვრცელდება თუ არა ამ თემაზე დეზინფორმაცია და ხდება თუ არა სიძულვილის ენის წახალისება.

კვლევა შერეული მეთოდოლოგიით ხორციელდება და ინტერნიუსის კონფლიქტების გაშუქების შეფასების ადაპტირებულ ვერსიას იყენებს, მონიტორინგის ინსტრუმენტად კი – ფეისბუკის ანალიტიკურ ხელსაწყოს Crowdtangle.

წარმოდგენილი ანგარიში მონიტორინგის შუალედურ შედეგებს ასახავს, რომელიც 2021 წლის 1 მაისი – 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით ხორციელდებოდა.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია და მთავარი მიგნებები, პირველი ნაწილი ეთმობა საერთო რაოდენობრივ მონაცემებს, მეორე ნაწილი – მედია გაშუქების ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასებას, მესამე – მგრძნობელობას კონფლიქტების გაშუქების მიმართ, მეოთხე – წითელი ხაზების გადაკვეთას, მეხუთე ნაწილში მოცემულია რელიგიური გრძნობებით მანიპულირების მაგალითები, მეექვსე ნაწილში, განხილულია მანიპულაციის ერთი კონკრეტული მაგალითი. კვლევის მეშვიდე ნაწილი კონფლიქტებთან მიმართებით რუსულენოვანი და ქართულენოვანი ფეისბუკ პლატფორმების გზავნილებს მოიცავს, ხოლო დანართის სახით წარმოდგენილია მონიტორინგის სუბიექტი მედიების პროფილები.

# მონიტორინგის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, შეისწავლოს, თუ როგორ აშუქებს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი რეგიონული  მედია უახლეს რეგიონალურ კონფლიქტებს, სამშვიდობო ინიციატივებს ან ქვეყნებს შორის სადავო ტერიტორიების შესახებ მიმდინარე პროცესებს; ასევე ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების ცალკეულ ინციდენტებს, რომელიც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს შორის მწვავე ფორმით იჩენს თავს. მონიტორინგის ფარგლებში ასევე ხდება იმის გარკვევა, თუ რა გზავნილები და დეზინფორმაცია ვრცელდება ამ თემებზე, ხდება თუ არა სიძულვილის ენის  გამოყენება. გარდა აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი გამოცემებისა, რეგიონალური კონტექსტის სრულად გააზრებისთვის თვისებრივ ნაწილში დაკვირვება რუსულენოვან მედიებსა და ქართულენოვან ფეისბუკ ანგარიშებზე ხდება, რომელთა სამიზნე კონკრეტული ეთნიკური ჯგუფებია.

მონიტორინგი შერეული მეთოდოლოგიით ხორციელდება, რაც რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებზე დაკვირვებას ითვალისწინებს. რაოდენობრივ მონაცემებზე დაკვირვება აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი რეგიონული მედიის შემთხვევაში ხდება, ხოლო შერჩეული ცალკეული რუსელენოვანი მედიები და ქართულენოვანი ფეისბუკ ანგარიშები თვისებრივ ნაწილში სრული კონტექსტის გასაგებად არის გაანალიზებული.

## რაოდენობრივი მონაცემები

დაკვირვება შემდეგ თემებზე ხორციელდება:

- კონფლიქტები და მათთან დაკავშირებული სამშვიდობო ინიციატივები;
- ქვეყნებს შორის სადავო ტეროტორიები;
- ქვეყნებს შორის საზღვრის დემარკაციის საკითხები;
- შიდაეთნიკური კონფლიქტები;
- ისტორიული კონფლიქტები და სხვა თემები, რომლებიც თანამედროვე კონტექსტში სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ ან ეროვნულ ჯგუფებს შორის კონფრონტაციას ახდენს.

აღნიშნული თემატიკის მედიაში გაშუქება მოიცავს პირდაპირ და ირიბ ცვლადებს:

**პირდაპირი გაშუქება** – როცა მედია შინაარსი (სტატია, ინფორმაცია, ტვ და რადიო სიუჟეტი) მთლიანად მონიტორინგის თემას უკავშირდება;

**ირიბი გაშუქება** – როდესაც მედია შინაარსში ირიბად არის ნახსენები დაკვირვების ქვეშ მყოფი თემატიკა და თავად მასალის მთავარი თემა სხვა საკითხია.

მონიტორინგი ასევე ეყრდნობა ინტერნიუსის კონფლიქტების გაშუქების შეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ძალადობრივი კონფლიქტების გაშუქების აღწერისთვის გამოიყენება. მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულია ამ მეთოდოლოგიის 3 ინდიკატორი:

1. **ხარისხი და პროფესიონალიზმი** (სიზუსტე, ობიექტურობა/მიუკერძოებლობა, ბალანსი/სამართლიანობა, რელევანტურობა, ენა, სიცხადე, ბექრაუნდი/კონტექსტი).
2. **მგრძნობელობა კონფლიქტების გაშუქების მიმართ**
3. **წითელი ხაზების გადაკვეთა** (გაშუქებაში ძალადობრივი ვიზუალის, სიძულვილის და შეურაცხმყოფელი/დამამცირებელი ენის გამოყენება).

## თვისებრივი მონაცემები

- გზავნილების ტიპოლოგია
- სიძულვილის ენის ტიპოლოგია და სამიზნეები
- ყალბი ინფორმაციის ტიპოლოგია

## სუბიექტების შერჩევა

მონიტორინგის სუბიექტი აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენივანი მედიები რეგიონული სპეციფიკის და კვლევების საფუძველზე შეირჩა. ჯამში დაკვირვება 24 მედიასაშუალებაზე ხორციელდება, აქედან რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება 20 მედიის შემთხვევაში ხდება (10 აზერბაიჯანულენოვანი; 10 სომხურენოვანი), ხოლო თვისებრივ ნაწილში 2 – რუსულენოვანი და 2 – ქართულენოვანი ფეისბუკ გვერდია შერჩეული.

**აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მედიები**

| | აზერბაიჯანულენოვანი მედიები | | სომხურენოვანი მედიები |
|---|---|---|---|
| 1 | 24News.ge | 1 | Aliq Media;<br>http:/aliq.ge/ |
| 2 | Gündəlik – Gürcüstan;<br>https://www.facebook.com/gundelikgurcustan/<br>Gündəlik – Gürcüstan – Home | 2 | Парвана Тв;<br>http://parvana.ge/ |
| 3 | Aktual.ge;<br>https://www.aktual.ge/ | 3 | Radio NOR;<br>https://nor.ge/ |
| 4 | Radio Marneuli 96.9 FM;<br>http://marneulifm.ge/ | 4 | TV9News.AM;<br>https://tv9news.ge/am/ |

| | აზერბაიჯანულენოვანი მედიები | | სომხურენოვანი მედიები |
|---|---|---|---|
| 5 | Marneuli TV;<br>http://www.marneulitv.ge/ | 5 | JavakhkNews.ge;<br>http://www.jnews.ge/ |
| 6 | Yeni Yol;<br>http://yeniyol.ge/ | 6 | Atv 12 television<br>https://www.youtube.com/channel/UCr0QsJx-P6uccU6jXpD9-seA |
| 7 | Borchalitv;<br>http://borchalitv.wordpress.com/ | 7 | News from Javahk-akhaltskha;<br>http://akhaltskha.net/ |
| 8 | Xeber.ge;<br>http://xeber.ge/ | 8 | Akhalkalaki News;<br>https://www.facebook.com/akhalkalakinews |
| 9 | Radio Bolneli<br>http://bolneli.ge/ | 9 | Javakhk Media<br>http://javakhkmedia.com/ |
| 10 | Radio Ivrisi<br>http://ivrisi.org.ge/ | 10 | Samkhretis Karibche<br>https://sknews.ge/am |

თვისებრივ ნაწილში დამატებით რუსულენოვანი და ქართულენოვანი გამოცემების შერჩევა შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა: რუსეთის ხელისუფლების მიერ დაფუძნებული სპუტნიკის, და რეგიონალური Press Club Jeiran Media კონფლიქტების თემატიკას აშუქებს, თუმცა ამ გამოცემებს მასალების ფეისუქ გვერდზე გაზიარების განსხვავებული პრაქტიკა აქვთ. ქართულენოვანი გამოცემები „კავკაზ პლიუსი“ და ფეიბუქ გვერდი კავკასიური ტელეგრაფი[1] ყარაბაღის კონფლიქტის განახლებისას და პოსტკონფლიქტურ პერიოდში არმენოფობიური შინაარსის მასალებს აზიარებდნენ და კონფლიქტების გამწვავებას ცდილობდნენ.

## რუსულენოვანი და ქართულენოვანი პლატფორმები

| | რუსულენოვანი მედიები | | ქართულენოვანი მედიები |
|---|---|---|---|
| 1 | Sputnik Georgia | 1 | The Caucasian Telegraph |
| 2 | Press Club Jeiran Media | 2 | Kavkaz Plus |

მონიტორინგი ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყოს crowdtangle-ის საშუალებით ხორციელდება, რა დროსაც დაკვირვება შერჩეული მედიების ფეისბუქ გვერდებზე ხდება.

[1] მითების დეტექტორი, 1 დეკემბერი, 2020. Caucasian Telegraph არმენოფობიური ხასიათის დეზინფორმაციას და კონსპირაციებს აქვეყნებს https://mythdetector.ge/ka/caucasian-telegraph-armenophobiuri-khasiathis-dezinphormatsias-da-konspiratsiebs-aqveqhnebs/

# სარჩევი


მთავარი მიგნებები 9

1. საერთო რაოდენობრივი მონაცემები 12

2. ხარისხი და პროფესიონალიზმი 19

- 2.1. სიზუსტე 24
- 2.2. ობიექტურობა / მიუკერძოებლობა 27
- 2.3. რელევანტურობა 28
- 2.4. შინაარსი 29
- 2.5. ბალანსი 31
- 2.6. ენა 32
- 2.7. ბექრაუნდი / კონტექსტი 33
- 2.8. სიცხადე 33

3. მგრძნობელობა კონფლიქტების გაშუქების მიმართ 34

4. წითელი ხაზების გადაკვეთა 35

- 4.1 შუღლის გამაღვივებელი ენის გამოყენების მაგალითები 35
- 4.2 ძალადობის შემცველი ვიზუალი 40

5. რელიგიური გრძნობებით მანიპულირება სომხურენოვან მედიასა და ქართულენოვან პლატფორმებზე 47

6. მანიპულაცია სამცხე-ჯავახეთში თურქული ბაზის განთავსების თემით 50

7. გზავნილები რუსულენოვან და ქართულენოვან ფეისბუქ პლატფორმებზე 52

- 7.1 Pressunity.org 52
- 7.2 Sputnik-georgia.ru 54
- 7.3 კავკაზ პლიუსი და The Caucasian Telegraph 55

7. მედია პროფილები 58

- 7.1 აზერბაიჯანულენოვანი მედია 58
- 7.2 სომხურენოვანი მედია 62
- 7.3 რუსულენოვანი მედია 68
- 7.4 ქართულენოვანი მედია 70

## დიაგრამები


დიაგრამა 1. აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიის აქტივობა ფეისბუკზე, 1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022 — 12

დიაგრამა 2. სომხურენოვანი რეგიონული მედიის აქტივობა ფეისბუკზე, 1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022 — 13

დიაგრამა 3. სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიაში კონფლიქტთან დაკავშირებული გაშუქების სხვადასხვა ასპექტები, 1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022 — 17

დიაგრამა 4. პუბლიკაციების რაოდენობა მედიების მიხედვით, 1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022 — 18

დიაგრამა 5. პოლიტიკური ლიდერების გაშუქება 1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022 — 30


## ცხრილები


ცხრილი 1. კონფლიქტთან დაკავშირებული თემების პირდაპირი და ირიბი გაშუქება — 15

ცხრილი 2. ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება — 20

ცხრილი 3. ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება სომხურენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით (50 <) — 21

ცხრილი 4. ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება სომხურენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით (50 >) — 22

ცხრილი 5. ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით (50 <) — 23

ცხრილი 6. ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით (50 >) — 23

ცხრილი 7. რეგიონული მედიის წყაროები — 26

ცხრილი 8. ტერმინოლოგია — 32

# მთავარი მიგნებები

1 მაისიდან – 31 იანვრის  პერიოდში მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

### აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი რეგიონული მედიები

- გამოქვეყნებული 59 456 პოსტიდან კონფლიქტების თემას 2,175 პუბლიკაცია (1 276 – სომხურიენოვანი მედია; 899 – აზერბაიჯანულიენოვანი) ეხებოდა, საიდანაც მონიტორინგის თემების პირდაპირი გაშუქება 1623 მასალაში, ხოლო ირიბი 552-ში გვხვდება.
- ყარაბაღის კონფლიქტის როგორც პირდაპირი (695), ასევე ირიბი (333) გაშუქება ყველაზე მაღალი სომხურენოვან რეგიონულ მედიაში იყო, მაშინ, როცა აზერბაიჯანულენოვან წყაროებში იგივე თემის როგორც პირდაპირი (352), ასევე ირიბი (213) გაშუქება შედარებით დაბალი იყო.
- სომხურენოვან მედიებში (82), აზერბაიჯანულენოვათან შედარებით (34), ხშირი იყო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება.
- აზერბაიჯანულენოვან მედიებში ფართოდ გაშუქდა ქვემო ქართლში, დმანისში შიდაეთნიკურ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი (52).
- ყარაბაღის ომის დასრულების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტის, რეჯებ ტაიპ ერდოღანის ინიციატივა რეგიონული თანამშრომლობის 3+3 ფორმატის შექმნის შესახებ, ორივეენოვან მედიაში თითქმის თანაბრად გაშუქდა (აზერბაიჯანულენოვანი 45 – სომხურენოვანი 41).
- გაშუქების მხრივ, ყველაზე პრობლემური საერთო მაჩვენებელი ბალანსის ინდიკატორი იყო (0.30), თუმცა, ეს მონაცემი სომხურენოვან რეგიონულ მედიაში (0.33) აზერბაიჯანულენოვანზე ოდნავ უკეთესია (0.26).
- ბალანსის ინდიკატორის შემდეგ ყველაზე ახლოს სტანდარტის დარღვევასთან შინაარსის მაჩვენებელია (0.42), სადაც ორივეენოვანი მედიის მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო (სომხურენოვანი – 0.42; აზებაიჯანულენოვანი – 0.41).
- გაშუქებულ სტატიებიში, საშუალოზე მაღალი იყო ბექგრაუნდის (0.68), ობიექტურობის (0.61), გამოყენებული ენის (0.64) და სიზუსტის (0.64) მაჩვენებლები, ხოლო ყველაზე ახლოს სტანდარტის დაცვით გაშუქებასთან რელევანტურობისა (0.82) და სიცხადის (0.95) მაჩვენებლებია.
- ყველაზე მკვეთრი განსხვავება  აზერბაიჯანულენოვან (0.80) და სომხურენოვან (0.48) მედიებში სიზუსტის ინდიკატორში დაფიქსირდა, რაც სომხურენოვანი მედიების მიერ კონფლიქტების გაშუქებისას რიგი მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვებამ განაპირობა.

- სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან გამოცემებში ხშირად ვხვდებოდით სხვა მედიების მიერ გამოქვეყნებული მასალების სრულ ან ნაწილობრივ კოპირებას. კოპირებული 985 მასალიდან პირველწყარო ნახევრზე მეტის (582) შემთხვევაში იყო მითითებული.
- სომხურენოვანი რეგიონული მედია, გარდა სომხური წყაროებისა, ხშირად რუსულ წყაროებს, მათ შორის ხშირად კრემლის ისეთ პროპაგანდისტულ პლატფორმებს ეყრდნობოდა, როგორიცაა tass.ru, armeniasputnik.am, Россия 24; ria.ru, infoteka24.ru. ქართული გამოცემებიდან კი, მცირე გამონაკლისების გარდა (taonews.ge, newsgeorgia.ge) ძირითადად სანდო, ნაციონალურ პლატფორმებს იყენებდა.
- აზერბაიჯანულენოვანი გამოცემები ყველაზე ხშირად აზერბაიჯანულ წყაროებს ეყრდნობოდნენ, ქართული წყაროებიდან, რეგიონული მედია ძირითადად კრიტიკულ არხებს (მთავარი არხი, ტვ პირველი, ფორმულა) ეყრდნობოდა, ხოლო უფრო იშვიათად კი – რუსულ წყაროებს.
- დეზინფორმაციის ან დაუზუსტებელი მონაცემების შემცველი მასალები, მონიტორინგის სუბიექტ მედიასაშუალებებში უმეტესწილად სხვა მედიების მიერ მომზადებული პუბლიკაციების გადაზიარებისას ან ამ მედიებზე დაყრდნობით მომზადებულ მასალებში გვხვდება.
- ქვეყნების ლიდერებიდან რეგიონულ მედიებში ყველაზე ხშირად სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს (320) და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს (286) აშუქებდნენ. თითქმის თანაბარი იყო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა (139) და თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის (133) გაშუქება. ყველაზე იშვითად მედიებში ამეირიკისა (60) და საქართველოს (31) პრეზიდენტებს ვხვდებით.
- როგორც სომხურენოვან, ისევე აზერბაიჯანულენოვან მედიაში შუღლის გამაღვივებელი ენის გამოყენების შემთხვევები, უმეტესწილად ჟურნალისტების მიერ ამბის გადმოცემის დროს გაკეთებულ შეფასებებში გვხვდება.
- ძალადობის შემცველი ვიზუალი სომხურენოვან მედიებში უმეტესწილად სომეხ სამხედრო ტყვეებს და საზღვარზე მომხდარ ინცინდენტებს ასახავდა, ხოლო აზრებაიჯანულენოვან მედიებში – ძირითადად დმანისში მომხდარი დაპირისპირების გაშუქებისას გვხვდებოდა.
- გამოვლინდა შემთხვევები, რომლებიც ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში რელიგიური გრძნობებით მანიპულირებას ახდენდა. მსგავსი შინაარსის მასალებს, როგორც მონიტორინგის სუბიექტი სომხურენოვანი მედია (ფარვანა ტვ), ასევე ფეისბუკის ქართულენოვანი მომხმარებლები სხვადასხვა ჯგუფებსა და გვერდებზე მანიპულაციურად ავრცელებდნენ.

## რუსულენოვანი მედიების ფეისბუქ გვერდები

- პრეს-კლუბ ჯეირან-მედიას გზავნილები ერთის მხრივ, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ევროკავშირის არაეფექტურობასა და რეგიონში დასავლეთის გავლენის შემცირებაზე, ხოლო მეორეს მხრივ რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფაში რუსეთის განსაკუთრებულ როლზე აკეთებდა აქცენტს. თურქეთთან დაკავშირებული გზავნილებში თავდაპირველად იგი კონ-

ფლიქტში დაინტერესბული მხარედ იყო წარმოჩენილი, რაც მოგვიანებით, თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანის 3+3[2] რეგიონული თანამშრომლობის ფორმატის ინიცირების შემდეგ შეიცვალა.

- სპუტნიკის მიერ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ძირითადად სხვადასხვა პოლიტოლოგების ინტევიუებს ეყრდნობოდა, რეგიონში ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში დასავლეთის, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების როლის შემცირებას და რუსეთის განსაკუთრებულ როლს უსვამდა ხაზს. სპუტნიკზე თურქეთის მიერ ყარაბაღის კონფლიქტში ღია ჩართულობასა და რეგიონში ქვეყნის პოზიციების გამყარებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მყარდებოდა.

## ქართულენოვანი ფეისბუქ გვერდები

- ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში, The Caucasian Telegraph სომხეთთან მიმართებით ოფიციალური აზერბაიჯანის გზავნილებს იმეორებდა და საზღვარზე მათ ქმედებებს „პროვოკაციად" აფასებდა, გამოცემის მიერ გამოქვეყნებული არმენოფობიური შეფასებების ნაწილი რესპონდენტის მოსაზრებებს ეფუძნებოდა.
- რაც შეეხება კავკაზ პლიუსს, გამოცემა არმენოფობიურ პოზიციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში მკაფიოდ გამოხატავდა. გამოცემა სომხებს როგორც ნაციონალისტებს წარმოაჩენდა და გზავნილებში მათ მიერ აფხაზეთის ანექსიის, საქართველოს ტერიტორიების ბუფერულ ზონად გამოყენების, და სეპარატისტული განწყობის გაღვივების საფრთხეებს უსვამდა ხაზს.

[2] „3+3" ფორმატი თურქეთის პრეზიდენტის ინიციატივაა, რომელიც მან ყარაბაღის ომის დასრულების შემდეგ, 2020 წელს გაახმოვანა და ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და მეორე მხრივ რუსეთ-თურქეთ-ირანის რეგიონულ ინტეგრაციას ითვალისწინებს.

# 1. საერთო რაოდენობრივი მონაცემები

**ფეისბუქ პოსტების რაოდენობა.** მონიტორინგის პერიოდში 1 მაისი (2021) – 31 იანვარი (2022) სომხურენოვანი  და აზერბაიჯანულენოვანი მედიების ფეისბუქ გვერდებზე ჯამში 59 456 პოსტი გამოქვეყნდა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დაკვირვების პერიოდში აზერბაიჯანულენოვანი მასალების (28 917) რაოდენობა მცირედით ჩამორჩება სომხურენოვანისას (30 539).

როგორც დიაგრამა 1-ზე ჩანს, თავად აზერბაიჯანულენოვანი მედიებიდან მონიტორინგის პერიოდში ყველაზე მეტი პოსტი „რადიო მარნეულმა" გამოაქვეყნა, რომელსაც Aktual.ge და Xaber.ge მოსდევენ.

**დიაგრამა 1.** აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიის აქტივობა ფეისბუქზე, 1 მაისი, 2021 - 31 იანვარი, 2022



| TOTAL POSTS | AVG. MONTHLY POSTS |
|---|---|
| 28.9K | 292 |

| NAME | TOTAL | % |
|---|---|---|
| Radio Ivrisi | 12 | 0.04% |
| რადიო ბოლნელი 10... | 0 | 0.00% |
| Aktual.ge | 5.0K | 17.46% |
| Marneuli TV | 1.5K | 5.30% |
| Radio Marneuli 9... | 10.4K | 35.91% |
| რადიო AGFM მარნე... | 0 | 0.00% |
| 24News.ge | 5.9K | 20.48% |
| Borchalitv | 41 | 0.14% |
| Xeber.ge | 5.4K | 18.69% |
| Yeni Yol | 136 | 0.47% |
| Gündəlik - Gürcü... | 434 | 1.50% |

სომხურენოვანი მედიებიდან კი ყველაზე მეტი პოსტი რადიო ნორის, ფარვანა ტვ-სა და სამხრეთის კარიბჭის ფეისბუქ გვერდებმა გამოაქვეყნეს.

დიაგრამა 2. სომხურენოვანი რეგიონული მედიის აქტივობა ფეისბუქზე, 1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022






**თემატიკა.** მედიების მიერ გამოქვეყნებული 59 456 პოსტიდან კონფლიქტების თემას 2 175 ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ სომხურენოვანმა მედიამ კონფლიქტების თემას მეტი მასალა დაუთმო (1 276), ვიდრე აზერბაიჯანულენოვანმა (899). კონფლიქტებიდან ყველაზე დიდი ადგილი ყარაბაღის ომის განახლების თემას, ასევე ომისშემდგომ პროცესებს და საზღვარზე მომხდარ ინციდენტებს შეეხებოდა. ყარაბაღის გარდა, მონიტორინგის პერიოდში ასევე გაშუქდა თალიბანის მიერ ავღანეთზე კონტროლის ძალისმიერი მეთოდებით დამყარების, ყაზახეთში საპროტესტო აქციების მიმდინარეობის და უკრაინის საღვრებთან რუსული ჯარის მობილიზების თემები.

როგორც ცხრილ 1-ზე ჩანს, სომხურენოვან მედიაში ყარაბაღის კონფლიქტის პირდაპირი (695), ასევე ირიბი (333) გაშუქება აზერბაიჯანულენოვანი მედიების გაშუქებას (პირდაპირი 352; ირიბი 213) საგრძნობლად აღემატება. სხვა თემატიკა კი ძირითადად მხოლოდ პირდაპირ შუქდებოდა. სომხურენოვან მედიებში (82), აზერბაიჯანულენოვათან შედარებით (34), ხშირი იყო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი მედიებში ფართოდ გაშუქდა ქვემო ქართლში, დმანისში შიდაეთნიკურ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი (52),[3] რაც თემის რეგიონისთვის რელევანტურობით უნდა აიხსნას. ყარაბაღის ომის დასრულების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტის, რეჯებ ტაიპ ერდოღანის ინიცი-

[3] 2021 წლის 17 მაისს, დმანისში ადგილობრივ ეთნიკურად ქართველ და აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქეებს შორის მაღაზიაში ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირება ფიზიკურ კონფრონტაციაში, მასობრივ არეულობასა და დაპირსპირებაში გადაიზარდა. რეგიონში მობილიზებული იყო საპოლიციო ძალები. 18 მაისს დმანისის საკრებულოში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების და სასულიერო პირების ჩართულობით დაპირისპირებული მხარეები კონფლიქტის დასრულებაზე შეთანხმდნენ. https://civil.ge/ka/archives/420142

ატივა რეგიონული თანამშრომლობის 3+3 ფორმატის[4] შექმნის შესახებ, ორივეენოვან მედიაში თითქმის თანაბრად გაშუქდა (აზერბაიჯანულენოვანი 45 – სომხურენოვანი 41). დიდი განსხვავება აზერბაიჯანულენოვან (75) და სომხურენოვან (69) მედიებში არც უკრაინის საზღვებთან რუსული საჯარისო ნაწილების მობილიზების გაშუქებაში გამოვლინდა. სხვა სურათია მედიების მიერ ავღანეთში თალიბანის მიერ სახელისუფლებო კონტროლის ძალისმიერიად დამყარების შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში, რომლებიც აზერბაიჯანულენოვან მედიებში (90), სომხურენოვანთან შედარებით (22) გაცილებით ხშირად გვხვდება.

**ცხრილი 1. კონფლიქტთან დაკავშირებული თემების პირდაპირი და ირიბი გაშუქება სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიაში, 1 მაისი, 2021 - 31 იანვარი, 2022**

| | სომხურენოვანი რეგიონული მედია | | აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედია | |
|---|---|---|---|---|
| | პირდაპირი | ირიბი | პირდაპირი | ირიბი |
| ყარაბაღის კონფლიქტი | 695 | 333 | 352 | 213 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები | 82 | | 34 | |
| უკრაინის საზღვრებთან რუსული ჯარის მობილიზაცია | 69 | | 75 | |
| თურქეთის მიერ 3 + 3 ფორმატის შეთავაზება | 41 | | 45 | |
| ავღანეთში თალბანის მმართველობის დამყარება | 22 | | 90 | |
| საპროტესტო აქციები ყაზახეთში | 18 | | 32 | |
| შიდაეთნიკური დაპირისპირება საქართველოში | 5 | | 52 | |
| 1915-16 წლების გენოციდი სომხეთში | 9 | | | |
| საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაცია / დავით გარეჯის სადავო მონასტერი | | 2 | 2 | 4 |

რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტის გაშუქებას, სომხურენოვან მედიებში კონფლიქტის შედეგად მოკლული და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების თემა (322) დომინირებდა, რასაც კონფლიქტის მოგვარების მიზნით საერთაშორისო მოლაპარაკებების (248), დაკავებული სამხედრო მოსამსახურეების გათავისუფლების (228) და სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის სადავო ტერიტორიებზე მომხდარი ინცინდენტების (160) გაშუქება მოსდევს. აღნიშნული საკთხები შედარებით ნაკლები ინტენსივობით გვხვდება აზერბაიჯანულენოვან მედიებში, სადაც ყველაზე მაღალი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო მოლაპარაკებების თემა (205) იყო, ყველაზე მცირე კი სომეხი სამხედრო მოსამსახურეების გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები (50).

4 „3+3“ ფორმატი თურქეთის პრეზიდენტის ინიციატივა, რომელიც მან ყარაბაღის ომის დასრულების შემდეგ, 2020 წელს გახმოვანა და ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და მეორე მხრივ რუსეთ-თურქეთ-ირანის რეგიონულ ინტეგრაციას ითვალისწინებს.

სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაცია-დემილიტირების თემა თითქმის თანაბრად გააშუქა როგორც სომხურენოვანმა (70), ასევე აზერბაიჯანულენოვანმა (65) რეგიონულმა მედიამ; ისევე როგორც უკრაინის საზღვებთან რუსული საჯარისო დანაყოფების მობილიზების პროცესი (აზერბაიჯანულენოვანი – 75; სომხურენოვანი – 69) და თურქეთის ინიცირებული 3+3 ფორმატში საქართველოს მონაწილეობის საკითხი (აზერბაიჯანულენოვანი – 45; სომხუენოვანი – 41).

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული თემები, რაც სოხუმის დაცემიდან 28 წლის აღნიშვნას, საერთაშორისო პარტნიორების მიერ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას და ლტოლვილების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას შეეხებოდა  სომხურენოვან რეგიონულ მედიაში (82), აზერბაიჯანულზე მეტად (33) გაშუქდა.

საერთაშორისო თემებიდან კი ავღანეთში თალიბანის მმართველობის დამყარება (აზერბაიჯანულენოვანი – 90; სომხურენოვანი – 22); ისევე, როგორც მასობრივი საპროტესტო აქციები ყაზახეთში[5] (აზერბაიჯანულენოვანი – 32; სომხურენოვანი – 18) აზერბაიჯანულენოვანმა რეგიონულმა მედიამ სომხურენოვანზე მეტად გააშუქა.

დმანისში მომხდარი შიდაეთნიკური კონფლიქტი, რომელიც საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და ეთნიკურ ქართველებს ეხებოდა ადგილობრივი აქტუალობის გათვალისწინებით აზერბაიჯანულენოვანმა რეგიონულმა მედიამ მეტად გააშუქა (52), ისევე როგორც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სადავო მონაკვეთზე მდებარე დავით გარეჯის თემა (6).

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 1915-1916 წლის სომეხთა გენოციდის აღიარება კი მხოლოდ სომხურენოვანმა რეგიონულმა მედიებმა გააშუქეს (9).[6]

[5] ყაზახეთში 2022 წელი 1 იანვარს ბუნებრივ აირის ფასის ზრდამ, საზოგადოების პროტესტი გამოიწვია, რაც 2 აინვარს მასობრივ საპროტესტო აქციებში გადაზრდა.

[6] 24 აპრილს ამერიკის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ოტომანთა იმპერიის მიერ 1915-1916 წლებში სომეხთა გენოციდი აღიარა და ამ საკითხზე ოფიციალური განცხადება გაავრცელა https://bit.ly/36n3oRk

**დიაგრამა 3. სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიაში კონფლიქტთან დაკავშირებული გაშუქების სხვადასხვა ასპექტები, 1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022**




## პუბლიკაციების რაოდენობა მედიების მიხედვით

მონიტორინგის სუბიექტი 10 სომხურენოვანი რეგიონული მედიიდან დაკვირვების პერიოდში (1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022) კონფლიქტებთან დაკავშირებული თემები, სხვადასხვა ინტენსივობით, 9 გამოცემამ გააშუქა. კონფლიქტების თემები არ გაშუქებულა Akhalkalaki News-ის ფეისუქ გვედზე. სომხურენოვანი მედიების ფეისბუქ გვერდებზე კონფლიქტების თემები ყველაზე ხშირად შემდეგ მედიებში გაშუქდა: Parvana TV – 483, Radio Nor – 258 და ონლაინ გამოცემა News from Javakhk-Akhaltskha – 244. კონფლიქტების თემაზე ფეისბუქ პოსტები თითქმის თანაბრად გა-

მოქცეულა Aliq Media-სა (99) და Jnews-ზე (91). ყველაზე ნაკლებ კი ამ თემატიკის გაშუქებას ATV -12-ის (45); TV9 NEWS (29), Javakh Media (17)-სა და სამხეთის კარიბჭის (9) ფეისბუქ გვერდებზე ვხვდებით.

მონიტორინგის სუბიექტი აზერბაიჯანულენოვანი გამოცემებიდან კონფლიქტის თემები მხოლოდ Radio Bolneli-ის ფეიბუქ გვერდზე არ გვხვდება. სხვა აზერბაიჯანულენოვან გამოცემებში კი ეს თემა ყველაზე ხშირად 4 გამოცემაში 24 News (344); Radio Marneuli (216); Aktual.ge (196) და Xaber.ge (137) არის წარმოდგენილი. Marneuli TV (12) და Borchali Tv (10) კი თავიანთ ფეისბუქ გვერდებზე აღნიშნულ თემებს იშვიათად ეხებოდნენ, ხოლო დანარჩენ მედიებში კონფლიქტების თემატიკაზე 10-ზე ნაკლები პუბლიკაცია მომზადდა.

**დიაგრამა 4. პუბლიკაციების რაოდენობა მედიების მიხედვით, 1 მაისი, 2021 – 31 იანვარი, 2022**



# 2. ხარისხი და პროფესიონალიზმი

**ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება.** ინტერნიუსის კონფლიქტების გაშუქების შეფასების მეთოდოლოგია ხარისხსა და პროფესიონალიზმს შემდეგი ინდიკატორების მიხედვით აფასებს: სიზუსტე, ობიექტურობა/მიუკერძოებლობა, ბალანსი/სამართლიანობა, რელევანტურობა, ენა, ბექრაუნდი/კონტექსტი, სიცხადე.

**საერთო მონაცემები.** მონიტორინგის პერიოდში მედიებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხარისხის და პროფესიონალიზმის ინდიკატორებში, ყველაზე პრობლემური ბალანსის ინდიკატორი იყო (0.30). სომხურენოვანი (0.33) და აზერბაიჯანულენოვანი (0.26) მედიები კონფლიქტების გაშუქებისას ცალხმრივად აზერბაიჯანულ და სომხურ ოფიციალურ წყაროებს ეყრდნობოდნენ. გაშუქებაში უმეტესწილად ოფიციალური წყაროების რეპრეზენტაციამ და იმ რესპონდენტების უგულებელყოფამ, რომლებზეც უშუალო გავლენას ახდენდა ახალი ამბავი, განაპირობა შინაარსის ინდიკატორის დაბალი მაჩვენებელი (0.42) თუ ბალანსის მხრივ აზერბაიჯანულენოვან მედიას უფრო დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა, შინაარსის მხრივ ორივეენოვანი მედიის მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო (სომხურენოვანი – 0.42; აზებაიჯანულენოვანი – 0.41).

საშუალოზე მაღალი იყო გაშუქებულ სტატიებიში ბექგრაუნდის (0.68), ობიექტურობის (0.61), გამოყენებული ენის (0.64) და სიზუსტის (0.64) მაჩვენებლები, ყველაზე მკვეთრი განსხვავება აზერბაიჯანულენოვან (0.80) და სომხურენოვან (0.48) მედიებში სიზუსტის ინდიკატორში დაფიქსირდა, რაც სომხურენოვანი მედიების მიერ კონფლიქტების გაშუქებისას რიგი მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვებით არის განპირობებული.

ყველაზე მაღალი ინდიკატორები გაშუქებისას თემის რელევანტურობისა (0.82) და სიცხადის (0.95) შეფასებისას გვხვდება.

### ცხრილი 2: ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება, 1 მაისი, 2021 - 31 იანვარი, 2022

**ქულების მნიშვნელობა:** 0 = სტანდარტის დარღევაა (დაბალი მაჩვენებელი), 1 = სტანდარტის დაცვით (მაღალი მაჩვენებელი)

| გაშუქების ხარისხი და პროფესიონალიზმი | ერთიანი ქულა | აზერბაიჯანულენოვანი მედია | სომხურენოვანი მედია |
|---|---|---|---|
| მედია სიზუსტე | 0.64 | 0.80 | 0.48 |
| ობიექტურობა / მიუკერძოებლობა | 0.61 | 0.56 | 0.65 |
| რელევანტურობა | 0.82 | 0.86 | 0.80 |
| შინაარსი | 0.42 | 0.41 | 0.42 |
| ბალანსი | 0.30 | 0.26 | 0.33 |
| ენა | 0.64 | 0.66 | 0.59 |
| ბექგრაუნდი / კონტექსტი | 0.68 | 0.86 | 0.56 |
| სიცხადე | 0.93 | 0.95 | 0.91 |

## სომხურენოვანი რეგიონული მედია

**გაშუქების სიხშირე.** რეგიონული მედიების ხარისხისა და პროფესიონალიზმის ინდიკატორების შეფასებისას, გაშუქების ინტენსივობის გათვალისწინებით გამოცემები ორ ნაწილად გაიყო. პირველ კატეგორიაში მოხვდნენ მედიები, რომლებმაც მონიტორინგის პერიოდში კონფლიქტების თემაზე 50-ზე მეტი მასალა გამოაქვეყნეს, მეორეში კი პლატფორმები, რომლებიც 50-ზე ნაკლები მასალა გამოაქვეყნა. ამ თვალსაზრისით დაკვირვების პერიოდში გამოვლინდა 5 სომხურენოვანი მედია, რომელიც პირველ კატეგორიაში მოხვდა, ხოლო მეორეში 4:

I. **50-ზე მეტი:** სომხურენოვან მედიებში კონფლიქტების თემები ყველაზე ხშირად Parvana TV-ს(483) გაშუქებაში გვხვდება, რომელსაც Radio NOR (258) და News from Javakhk-Akhaltskha(244) მოსდევენ. თითქმის თანაბარი იყო Aliq Media-ის(99) და JNEWS-ის(91) მიერ გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა.
II. **50-ზე ნაკლები:** კონფლიქტების თემაზე ყველაზე ნაკლები მასალები Atv 12 (46), TV9News (29) და Javakhk Media-მ (17) და სამხრეთს კარიბჭემ (9) გამოაქვეყნეს.

**კონფლიქტების მაღალი ინტენსივობით გაშუქება სომხურენოვან რეგიონულ მედიაში.** იმ სომხურენოვან მედიებში, რომლებიც ყველაზე ხშირად აშუქებდა კონფლიქტის თემას, ინდიკატორების მხრივ შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

- **სიზუსტის** მხრივ ყველაზე მაღალი ინდიკატორი Aliq Media-ს გაშუქებაში (0.71) გვხვდება, რომელსაც თითქმის თანაბარი ქულებით Radio NOR (0.62) და JNEWS (0.61) მოსდევენ. სიზუსტის საშუალო მაჩვენებელს ვხვდებით Parvana TV-ს(0.50) გაშუქებაში, ხოლო ყველაზე დაბალს – News from Javakhk-Akhaltskha-სთან (0.39).
- **ობიექტურობის** ინდიკატორი, კონფლიქტების ამ კატეგორიის ყველა მედიაში შუალედურ ნიშნულზე მაღალია. ყველაზე მაღალ, Radio NOR-ის (0.75) და დაბალ Parvana TV (0.64) შეფასებებს

შორის სხვაობა 0.11 შეადგენს. ინდიკატორი თითქმის თანაბარია Radio NOR-ის (0.75), Aliq Media-ს (0.72) და JNEWS-ის (0.71) მასალებში, რომელთაც საშუალოზე მაღლი მაჩვენებლით News from Javakhk-Akhaltsikhe(0.66) მოსდევს.

- **რელევანტურობის** ყველაზე მაღალი ინდიკატორით Aliq Media-ს (0,91) გაშუქება შეფასდა, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი სხვა მედიებშიც საკმაოდ მაღალია.
- **შინაარსის და ბალანსის** თვალსაზრისით ყველა მედიის მაჩვენებელი შუალედურ შეფასებაზე დაბალია, ბალანსის მხრივ ყველაზე პრობლემური შეფასება News from Javakhk-Akhaltskha (0.23) და Parvana TV (0.29) გაშუქებაში გვხვდება.
- **ენის** ინდიკატორის შეფასება სტანდარტის საშუალოზე ოდნავ მაღალ (Aliq Media; JNEWS; News from Javakhk-Akhaltskha) და საშუალო (Parvana TV; Radio NOR) მაჩვენებელს შორის მერყეობს.
- **ბექგრაუნდის და კონტექსტის** მხრივ კი, ყველაზე მაღალი ინდიკატორი Aliq Media-ს (0,76) და Radio NOR-ის (0.62) გაშუქებაში გვხვდება, დანარჩენი მედიების ინდიკატორები შეფასების შუალედურ მაჩვენებელს მცირედით სცდება.
- **სიცხადის** ინდიკატორი ყველა მედიაში გაშუქების სტანდართან ახლოსაა.

**ცხრილი 3: ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება სომხურენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით (50<)**

| | სტატიების რაოდენობა | სიზუსტე | ობიექტურობა | რელევანტურობა | შინაარსი | ბალანსი | ენა | ბექგრაუნდი / კონტექსტი | სიცხადე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Parvana TV | 483 | 0.50 | 0.64 | 0.80 | 0.37 | 0.29 | 0.57 | 0.53 | 0.88 |
| Radio NOR | 258 | 0.62 | 0.75 | 0.81 | 0.47 | 0.44 | 0.54 | 0.62 | 0.97 |
| News from Javakhk-Akhaltskha | 244 | 0.39 | 0.66 | 0.76 | 0.43 | 0.23 | 0.68 | 0.50 | 0.92 |
| Aliq Media | 99 | 0.71 | 0.72 | 0.91 | 0.47 | 0.37 | 0.67 | 0.76 | 0.97 |
| JNEWS | 91 | 0.61 | 0.71 | 0.79 | 0.47 | 0.38 | 0.63 | 0.55 | 0.98 |

**კონფლიქტების დაბალი ინტენსივობით გაშუქება სომხურენოვან რეგიონულ მედიაში.** იმ სომხურენოვან რეგიონულ მედიებში, სადაც მონიტორინგის პერიოდში კონფლიქტების გაშუქების შედარებით დაბალი მაჩვენებელია, შემდეგი ტენდენცია გამოვლინდა:

- გაშუქების სტანდარტთან ყველაზე ახლოს, შეფასების ინდიკატორებით, სამხრეთის კარიბჭეა. გამოცემის მომზადებულ მასალებში, შინაარსის საშუალო (0.50) ინდიკატორის გამოკლებით, ყველა სხვა მაჩვენებელი შუალედურზე საგრძნობლად მაღალია.
- სიზუსტის ინდიკატორის მხრივ, საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი სამხრეთის კარბჭესთან გვხვდება (0.78), ინდიკატორის საშუალო მაჩვენებელი TV9News-ს (0.66) და Atv 12-ს (0.50) აქვს, ხოლო ყველაზე დაბალი Javakhk Media-ს (0.24).
- TV9News-ის გაშუქებაში შინააარსისა (0.07) და სიცხადის (0.30) გამოკლებით სხვა ინდიკატორები შუალედურზე მაღალია, ხოლო Atv 12-ს მასალებში სიცხადის (0.98) და რელევანტურობის (0.72) გარდა ყველა ინდიკატორი შუალედურზე დაბალია.

- რელევანტურობისა (0.61) და სიცხადის (0.75) გარდა, Javakhk Media-ს სხვა ინდიკატორები ყველაზე დაბალია.

**ცხრილი 4: ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება სომხურენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით (50>)**

| | სტატიების რაოდენობა | სიზუსტე | ობიექტურობა | რელევანტურობა | შინაარსი | ბალანსი | ენა | გენდერული / კონტექსტი | სიცხადე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Atv 12 | 46 | 0.50 | 0.37 | 0.72 | 0.49 | 0.30 | 0.49 | 0.38 | 0.98 |
| TV9News | 29 | 0.66 | 0.76 | 0.78 | 0.07 | 0.47 | 0.59 | 0.57 | 0.30 |
| Javakhk Media | 17 | 0.24 | 0.39 | 0.61 | 0.32 | 0.20 | 0.35 | 0.27 | 0.75 |
| Samxretis karibche | 9 | 0.78 | 0.78 | 0.90 | 0.50 | 0.63 | 0.89 | 0.85 | 1 |

## აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედია

**გაშუქების სიხშირე.** აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიებიდან კონფლიქტების თემაზე 50-ზე მეტ მასალას 4 გამოცემაში ვხვდებით, ხოლო 50-ზე ნაკლებს – ხუთში. ამასთანავე ბოლო კატეგორიაში გაშუქება მეტწილად ერთეულ პუბლიკაციებს არ სცდება:

I. **50-ზე მეტი:** აზერბაიჯანულენოვან მედიებში კონფლიქტებს ყველაზე ხშირად 24News.ge (344), Marneuli FM (216), Aktual.ge (169) და Xaber.ge (139) აშუქებდნენ.

II. **50-ზე ნაკლები:** Marneuli TV-მ (12), Borchalitv-მ (10) და Gundalik-მა (8) კონფლიქტების თემებს გაშუქების მწირი ნაწილი დაუთმეს. რადიო ივრისზე მხოლოდ 2, ხოლო Yeni Yol-ზე ერთი მასალა გამოქვეყნდა.

**კონფლიქტების მაღალი ინტენსივობით გაშუქება აზერბაიჯანულენოვან რეგიონულ მედიაში.** აზერბაიჯანულენოვან რეგიონულ მედიებში, სადაც გაშუქების ინტენსივობა მაღალი იყო, შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა:

- იმ მედიებში, სადაც გაშუქების ინტენსივობა მაღალია, **შინაარსისა** და **ბალანსის** გამოკლებით, ყველა ინდიკატორი შუალედურ ზღვარზე მაღალია.
- **სიზუსტის** ინდიკატორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ ჯგგუფში რადიო მარნეულს (0.90) აქვს, რომელსაც თანაბარი შეფასებით Aktual.ge (0.79) და 24News.ge (0.79) მოსდევენ. მართალია, Xaber.ge-ს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (0.67), თუმცა იგი შეფასების შუალედურ ნიშნულზე მაღალია.
- **ობიექტურობის** ინდიკატორი რადიო მარნეულის (0.64) გარდა, საშუალო მაჩვენებელს სხვა გამოცემების შემთხვევაში ოდნავ აჭარბებს (Xaber.ge – 0.51; 24News.ge – 0.54; Aktual.ge – 0.55).
- გაშუქების სტანდართან ყველაზე ახლოს მედიებში **სიცხადის, რელევანტურობისა** და **კონტექსტის** მაჩვენებლებია, ხოლო ყველაზე პრობლემური **შინაარსის** და **ბალანსის** ინდიკატორებია, რომლებიც შუალედურ ნიშნულზე დაბალია.

- **შინაარსის** ინდიკატორი, რომელიც პუბლიკაციებში ოფიციალურ წყაროებთან ერთად, ახალი ამბის გავლენის სუბიექტების რეპრეზენტაციას ზომავს, ყველაზე მაღალი მარნეული რადიოს გაშუქებაშია (0.46), ხოლო ყველაზე დაბალი Xaber.ge-ში (0.35).
- **ბალანსის** მაჩვენებელშიც რადიო მარნეული (0.34) ლიდერობს, დანარჩენი მედიები კი თითქმის თანაბარი ნიშნულითაა წარმოდგენილი (Xaber.ge 0.25; 24News.ge 0.24;  Aktual.ge 0.23).

**ცხრილი 5: ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით (50<)**

| | სტატიების რაოდენობა | სიზუსტე | ობიექტურობა | რელევანტურობა | შინაარსი | ბალანსი | ენა | ბექგრაუნდი / კონტექსტი | სიცხადე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24News.ge | 344 | 0.79 | 0.54 | 0.88 | 0.41 | 0.24 | 0.47 | 0.88 | 0.97 |
| Marneuli FM | 216 | 0.90 | 0.64 | 0.90 | 0.46 | 0.34 | 0.77 | 0.94 | 0.98 |
| Aktual.ge | 169 | 0.79 | 0.55 | 0.83 | 0.43 | 0.23 | 0.67 | 0.83 | 0.91 |
| Xaber.ge | 137 | 0.67 | 0.51 | 0.85 | 0.35 | 0.25 | 0.66 | 0.81 | 0.98 |

**კონფლიქტების დაბალი ინტენსივობით გაშუქება აზერბაიჯანულენოვან რეგიონულ მედიაში.** მედიბში, სადაც კონფლიქტის გაშუქების დაბალი ინტენსივობა გამოიკვეთა, სტანდარტების დაცვის მხრივ შემდეგი ვითარე-ბაა:

- **სიზუსტის** ინტიკატორი ყველაზე მაღალი Marneuli TV-ს, Radio Ivrisi-ის და Yeni Yol-ის შემთხვე-ვაშია (1), Gundalik-სა (0.75) და Borchalitv-ის (0.60) შემთხვევაში კი, შუალედურ მაჩვენებელზე მაღალია.
- **ობიექტურობის** ყველაზე მაღალი ინდიკატორით რადიო ივრისის (1) 2 მასალა შეფასდა, ხოლო Yeni Yol-ისა და Marneuli TV-ს (0.63) ინდიკატორები შუალედურზე მაღალი და იდენტურია. ყველაზე დაბალი ეს მაჩვენებელი Borchalitv-ის (0.33) შემთხვევაშია.
- Gundalik-ის (0.30) გარდა, **რელევანტურობის** ინდიკატორი ყველა მედიაში საშუალოზე მაღალია.
- **შინაარსის** მხრივ შუალედურზე მაღალი ქულა Marneuli TV-ს (0.65), შუალედური – Yeni Yol-ს (0.50), ხოლო შუალედურზე დაბალი ყველა სხვა მედიას აქვს.
- საშუალოზე მაღალია Marneuli TV-სა და Radio Ivrisi-ს მასალებში **ბალანსისა** და **ენის** ინდიკატორის ქულები, **კონტექსტის** (0.13) და **სიცხადის** (0.50) მაჩვენებლები კი ყველაზე დაბალი Gundalik-ის მასა-ლებში  გვხვდება.

**ცხრილი 6: ხარისხის და პროფესიონალიზმის შეფასება აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედიების მიხედვით (50>)**

| | სტატიების რაოდენობა | სიზუსტე | ობიექტურობა | რელევანტურობა | შინაარსი | ბალანსი | ენა | ბექგრაუნდი / კონტექსტი | სიცხადე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Marneuli TV | 12 | 1 | 0.63 | 0.85 | 0.67 | 0.54 | 0.67 | 0.92 | 1 |
| Borchalitv | 10 | 0.60 | 0.33 | 0.73 | 0.20 | 0.20 | 0.28 | 0.53 | 0.70 |
| Gundalik | 8 | 0.75 | 0.46 | 0.30 | 0.25 | 0.08 | 0.37 | 0.13 | 0.50 |
| Radio Ivrisi | 2 | 1 | 1 | 0.89 | 0.25 | 0.67 | 0.50 | 1 | 1 |

## 2.1 სიზუსტე

**სიზუსტის ინდიკატორი ინფორმაციის წყაროების სანდოობით, მათი რაოდენობით, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელების და მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვების საფუძველზე ფასდება. შეფასება: 0 = დაბალი მაჩვენებელი, 1 = მაღალი მაჩვენებელი.**

**ქულა: 0.64**

სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიებში გამოქყენებული 2 175 მასალიდან სიზუსტის ერთი ან რამდენიმე ინდიკატორის დარღვევა 792 შემთხვევაში დაფიქსირდა.

ყველაზე ხშირად (33.38%) გაშუქების დროს მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვების პრობლემა გამოიკვეთა. კონფლიქტების გაშუქებისას, მედიები მიმდინარე მოვლენებს, ძირითადად ცალმხრივად, ერთი ან მეორე მხარის პერსპექტივიდან აშუქებდნენ და სომხურ და აზერბაიჯანულ წყაროებს ეყრდნობოდნენ.

მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვება, სომხურენოვანი რეგიონული მედიების მიერ გაშუქებული 1 276 მასალიდან 556-ში გამოვლინდა, მაშინ, როცა აზერბაიჯანულენოვანი მედიების მიერ გამოქვეყნებული 899 მასალიდან, წყაროების პრობლემა 166-ში ფიქსირდება. შესაბამისად, აღნიშნული ტენდენცია მედიების სიზუსტის ინდიკატორზეც (აზერბაიჯანულენოვანი – 0.80; სომხურენოვანი – 0.48) აისახა. სიზუსტის ინდიკატორში ასეთი მნიშვნელოვანი სხვაობა, გაშუქების სიხშირითაც შეიძლება აიხსნას, რადგან სომხურენოვან მედიებში ყარაბაღის კონფლიქტის პირდაპირი და ირიბი გაშუქება (1028), აზერბაიჯანუელნოვან მედიებს (565) თითქმის ორჯერ აღემატება.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სიზუსტის სხვა ქვეინდიკატორებში სომხურენოვან მედებს აზერბაიჯანულენოვანზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდათ. აზერბაიჯანულენოვან მედიებში სომხურენოვანთან შედარებით დარღვევები მაღალი იყო ისეთ ინდიკატორებში, როგორიცაა წყაროების ფართოდ, დაკონკრეტების გარეშე მითითება (სომხურენოვანი – 1.80%; აზრებაიჯანულენოვანი – 5.12%) და დაუზუსტებელი ინფორმაციის (სომხურენოვანი – 0.78%; აზრებაიჯანულენოვანი – 2.78%) გაშუქება.

გარკვეულ შემთხვევებში ფიქსირდებოდა წყაროების ფართოდ, კონკრეტიკის გარეშე დასახელება (3.17%), ხოლო მასალების 3.40%-ში ინფორმაციის წყარო მითითებული საერთოდ არ ყოფილა.

**ცალკეული მაგალითები:**

ფარვანა ტვ-ს 26 აგვისტოს გავრცელებულ ვიდეოს[7] ახლავს აღწერა, რომლის თანახმად არცაახში, მარტაკერტის ერთ-ერთ სახლში აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე შეიჭრა, სადაც ორი

[7] ფარვანა ტვ, 26 აგვისტო, https://bit.ly/3lF6ILx

ბავშვი იმყოფებოდა, ერთ ერთმა მათგანმა პოლიციაში დარეკვა მოასწრო, და პოლიციამ კაცი წაიყვანა. ვიდეოში ჩანს, თუ როგორ გაჰყავს პოლიციის ორ თანამშრომელს სახლიდან ადამიანი, თუმცა, ფეისბუკ პოსტში არ არის მითითებული წყაროები, კერძოდ: ვის მიერ არის გადაღებული ვიდეო, ასევე არ არის წარმოდგენილი ოფიციალური წყაროს – პოლიციის კომენტარი.

აღნიშნული ინციდენტის დროს დაკავებული აზერბაიჯანელი სამხედროს შესახებ ინფორმაცია, მისი ვინაობის მითითებით (ჯამილ ბაბაიევი), ფარვანა ტვ-მ კიდევ ერთხელ, 7 სექტემბერს, ტყვეების გაცვლის შესახებ მასალის გაშუქებისას გაავრცელა, თუმცა წყარო არც ამ შემთხვევაში ყოფილა მითითებული. ინფორმაციის თანხმლებ ვიზუალში წითელი ჯვრის წარმომადგენლები ჩანან, გავრცელებულ მასალაში კი არც აღნიშნული ორგანიზაცია ან მისი წარმომადგენელია მოყვანილი წყაროდ.

აზერბიჯანულენოვანმა გამოცემა 24 News.ge-მა ინფორმაცია, სათაურით „სომხეთის მოქალაქეების ჯგუფმა დმანისის საზღვარი ფარულად გადაკვეთა – დაკავებულები არ არიან",[8] ზოგადად სოფელ ირგანჩაის მოსახლეობაზე დაყრდნობით გაავრცელა. ინფორმაციის ავტორი ზოგად წყაროზე (ირგანჩაის მოსახლეობა) დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ამ ადამიანებს ყარაბაღში სიკვდილს საქართველოში პატიმრობაში ყოფნა ერჩივნათ. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ოფიციალურ წყაროსთანაც არის გადამოწმებული და მასალაში მითითებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობს, სტატიის სათაური სიზუსტის თვალსაზრისით პრობლემურია, რადგან კონკრეტული წყაროს გარეშე მოყვანილი და ოფიციალური წყაროს მიერ არდადასტურებული ინფორმაცია, როგორც რეალურად მომხდარი ფაქტია მოწოდებული.

**სხვა მედია წყაროები.** როგორც სომხურენოვან, ასევე აზერბაიჯანულენოვან გამოცემებში ხშირად ვხვდებოდით სხვა მედიების მიერ გამოქვეყნებული მასალების სრულ ან ნაწილობრივ კოპირებას. კოპირებული 985 მასალიდან პირველწყარო ნახევრზე მეტის (582) შემთხვევაში იყო მითითებული.

სომხურენოვანი რეგიონული მედია, გარდა სომხური წყაროებისა, ხშირად რუსულ წყაროებს ეყრდნობოდა, მათ შორის ხშირად კრემლის ისეთ პროპაგანდისტულ პლატფორმებს, როგორიცაა tass.ru, armeniasputnik.am, Россия 24; ria.ru, infoteka24.ru. რუსული წყაროები ნაკლები ინტენსივობით გვხვდება აზერბაიჯანუენოვან რეგიონულ მედიებში.

ქართული გამოცემებიდან,  სომხურენოვანი რეგიონული მედია, წყაროდ ძირითადად სანდო, ნაციონალურ პლატფორმებს იყენებდა, თუმცა იყო მცირედი გამონაკლისებიც (taonews.ge, newsgeorgia.ge).

8 24Nesw.ge, 30 მაისი, https://www.facebook.com/1510727729175828/posts/2905417986373455

taonews.ge-ზე დაყდრნობით Javakhk Media-ს მიერ გამოქვეყნებული ორივე მასალა, შუღლის გაღვივების საფრთხეებს შეიცავდა. მათგან ერთი, ქვემო ქართლში, სამეურნეო მიწებთან დაკავშირებულ, ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და ადგილობრივი ეპისკოპოსის დაპირისპირებას ქსენოფობიურ კონტექსტში აშუქებდა[9], ხოლო მეორე თურქეთის პრეზიდენტის მიერ, მესხეთზე წაკითხულ ლექსს ეხებოდა.[10]

აზერბაიჯანულენოვანი მედიები ძირითადად აზერბაიჯანულ წყაროებს ეყრდნობოდნენ, მათ შორის ყველაზე ხშირად report.az-ს, ხოლო ქართული წყაროებიდან, რეგიონული მედია ძირითადად კრიტიკულ არხებს (მთავარი არხი, ტვ პირველი, ფორმულა) ეყრდნობოდა.

### ცხრილი 7. რეგიონული მედიის წყაროები

| სომხურენოვანი მედია | | | აზერბაიჯანულენოვანი მედია | | |
|---|---|---|---|---|---|
| სომხური მედია | ქართული მედია, ასევე საქართველოში მოქმედი მულტილინგვური გამოცემები | რუსული მედია | აზერბაიჯანული მედია | ქართული მედია | რუსული, ქართული მედია |
| tert.am | newsgeorgia.ge | tass.ru | report.az | | TASS |
| tv.am | interpressnews.ge | Россия 24 | apa.az | მთავარი არხი | armeniasputnik.am |
| alternativ.am; | 1tv.ge | infoteka24.ru | axar.az | ტვ-პირველი | Ria Novost |
| past.am<br>armenpress.am<br>GALA TV | | moscow-baku.ru | AZTV | ფორმულაTV | |
| armnews<br>news.am | jam-news.net | armeniasputnik.am | salamnews.org | report.ge | |
| iravaban.net<br>mediahub.am | netgazeti.ge | ria.ru | publika.az | პირველი არხი | |
| a1plus.am<br>shoghakat.am<br>para.tv<br>hraparak.am | sova.news | sputnik-georgia.ru | qafqazinfo.az | ნეტგაზეთი | |
| Artsakh Public TV | aliq.ge | interfax.ru | baku.ws | İnterPressNews | |
| 5tv.am<br>yerkir.am<br>tsayg.am<br>shamshyan.com | newsgeorgia.ge | novostink.net | trend.az | kvirispalitra.ge<br>ქართული | |
| AREG TV<br>1lurer.am<br>civilnet.am | spress.ge | | Baku TV | Palitra News<br>ქართული | |
| panarmenian.net | taonews.ge | | azərtac.az | | |
| lurer.com | | | oxu24.com | | |

დეზინფორმაციის ან დაუზუსტებელი მონაცემების შემცველი მასალები მონიტორინგის სუბიექტ მედიასაშუალებებში უმეტესწილად სხვა მედიების მიერ მომზადებული პუბლიკაციების გადაზიარებისას ან ამ მედიებზე დაყრდნობით მომზადებულ მასალებში გვხვდება.

9 https://www.facebook.com/111026635652359/posts/4084951354926514
10 https://www.facebook.com/Javakhk.Media/posts/4127782530643396

ცალკეული მაგალითები:

- **ინფორმაცია სხვა წყაროზე დაყრდნობით:** აზერბაიჯანულენოვანმა გამოცემა xeber.ge-მ[11] youtube-ზე არსებულ სამხედრო ანალიტიკურ არხზე Caliber AZ-ზე[12] დაყრდნობით, 9 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსი სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სომეხი ჯარისკაცების დისლოკაცია ხდებოდა. youtube არხის ავტორის მკიცებით, სომეხი ჯარიკაცები, სამხედრო და სამოქალაქო ტრანსპორტის მეშვეობით, რუსი სამშვიდოებოების დროებითი კონტროლის ქვეშ არსებულ ტეროტიროებზე გადადიან, რაზეც რუსული მხარე რეაგირებას არ ახდენს. xeber.ge -ს მიერ გადაზიარებული ინფორმაცია, თავის მხრივ, არ ეყრდნობა ოფიციალურ წყაროებს, რაც ინფორმაციის სანდოობას ეჭვის ქვეშ აყენებს.
- **ფეისბუქზე სხვა მედიის მიერ მომზადებული მასალის გაზიარება.** მსგავსი ტენდენცია სომხურენოვან მედიაშიც დაფიქსირდა. რუსულენოვანი ონლაინ გამოცემა infoteka24.ru-ს სტატია, სათაურით „ქართველების სომხებთან დაპირისპირების მცდელობებს უკან თურქეთის და აზერბაიჯანის სპეცსამსახურები დგანან“ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე Javakhk Media-მ გამოაქვეყნა.[13] მასალა, რომელიც სრულად ეყრდნობოდა კრემლისტური ორგანიზაცია „კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის“ დირექტორის, შოთა აფხაიძის[14], ინტერვიუს, ავრცელებდა ინფორმაციას თურქული და აზერბაიჯანული სპეცსამსახურების მიერ შექმნილ ვებ-გვერდებზე, რომელთა მიზანიც ბაგრამიანის ბატალიონის[15] თემის გამოყენებით, ეთნიკური შუღლის გაღვივებაა.

## 2.2. ობიექტურობა / მიუკერძოებლობა

**ობიექტურობის ინდიკატორი მედიის მიერ გავცელებულ ინფორმაციაში სხვადასხვა მხარეების, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების გაშუქების, გაშუქებული მოსაზრებების წყაროების მითითების და ჟურნალისტის ან რედაქციის საკითხისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულებას აფასებს. შეფასება: 0 = არაობიექტური გაშუქება; 1 = ობიექტური.**

ქულა: 0.61

ობიექტური/მიუკერძოებელი გაშუქების ინდიკატორში სტანდარტთან ყველაზე ახლოს ნეიტრალური გაშუქებაა (86.6%), რასაც მცირედი სხვაობით მოყვანილი მოსაზრებებისა და პოზიციების წყაროების იდენტიფიცირება/რეფერირება (85.7%) მოსდევს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ობიექტური/მიუკერძოებელი გაშუქების ინდიკატორში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების მოყვანაზე მოდის (11.1%).

---

11 xeber.ge, 9 აგვისტო, სომხებმა ყარაბაღში ჯარი გაგზავნეს, სამშვიდობოები დუმს – ვიდეო, https://www.facebook.com/104504864588179/posts/358583702513626

12 Caliber AZ, 9 აგვისტო, https://www.youtube.com/watch?v=h91YWIXtui4

13 Javakhk Media, 4 მაისი, https://www.facebook.com/111026635652359/posts/3995285853893065

14 http://mythdetector.ge/ka/profile/apkhaidze-shota

15 ბაგრამიანის ბატალიონი 1992-93 წლებში აფხაზეთის ომის დროს ჩამოყალიბდა. ბატალიონი, რომელიც ძირითადად გაგრის, გუდაუთისა და ტყვარჩელის ზონაში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, ომში სეპარატისტების მხარეს იბრძოდა. აღნიშნული შენაერთი საბჭოთა სომეხი მარშლის ივანე ბაგრამიანის სახელს ატარებდა.

სომხურენოვან გამოცემებში ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებები (15.8%) აზერბაიჯანულენოვან მედიებზე (4.3%) გაცილებით ხშირად იყო წარმოდგენილი, ამასთან, სომხურენოვანი მედიების ავტორების დამოკიდებულება გაშუქებული თემების მიმართ, მასალების მხოლოდ 6%-ში ფიქსირდებოდა, მაშინ, როცა აზერბაიჯანულენოვან მედიებში აღნიშნული მაჩვენებელი 23,9%-ია.

ცალკეული მაგალითები:

გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კონფლიქტების გაშუქებისას მიკერძოება მასალის სათაურში ვლინდებოდა. სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარ დაპირისპირებებზე გამოქვეყნებულ ცალკეულ ინფორმაციებში ტერმინი „პროვოკაცია“ როგორც აზეირბაიჯანულენოვანი, ასევე სომხურენოვან რეგიონული მედიების სათაურებში იყო გამოქვეყნებული:

NEWS FROM JAVAKHK-AKHALTSKHA.NET - სათაური: **„აზერბაიჯანის პროვოკაციის შედეგად ორი სამხედრო მოსამსახურე მსუბუქად დაიჭრა – სროლა შეჩერებულია“**[16]

24NEWS.GE სათაური: **„სომხები კელბაჯარის მიმართულებით პროვოკაციას აწყობენ: სროლა კვლავ გრძელდება“**[17]

## 2.3. რელევანტურობა

**რელევანტურობის ინდიკატორი სამიზნე აუდიტორიასთან მიმართებით თემის რელევანტურობას აფასებს. შეფასება: 0 = არარეველანტური; 1 = რელევანტური**

ქულა: 0.82

მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებული თემების უმრავლესობა ადგილობრივ სამიზნე აუდიტორიასთან მიმართებით რელევანტური იყო და ამ ინდიკატორის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (0.82), სტატიების 60%-ში არ იყო განმარტებული, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამა თუ იმ მოვლენამ აუდიტორიაზე. რელევანტურობის შეფასებისას, კონფლიქტისა და და პოსტ-კონფლიქტური სიტუაციების ხსენება მასალების მხოლოდ 8.6%-ში გვხვდება.

მაგალითი:

რელევანტურობის თვალსაზრისით საინტერესო იყო აზერბაიჯანულენოვანი მედიის xeber.ge-ს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში ცხენოსნობის კონკურსთან დაკავშირებით.

16 News from Javakhk-Akhaltskha.Net, 9 დეკემბერი, https://bit.ly/3lyLUyU
17 Marneuli FM, 19 ნოემბერი, https://bit.ly/385C6QB

ინფორმაცია, სათაურით „ყარაბაღის ვეტერანი საქართველოში პირველი გახდა“[18] „ხან-ხანის“ საცხენოსნო კლუბის ჟოკეის, ჰილალ ნაზაროვის საქართველოში საცხენოსნო შეჯიბრებაში გამარჯვებას შეეხება. ჟურნალისტი იქვე დასძენს, რომ გამარჯვებული ყარაბაღის ვეტერანია და წარსულში პრეზიდენტისგან მამაცი მეომრის მედლით დაჯილდოვდა.

პუბლიკაციაში არ არის მოყვანილი ინფორმაცია შეჯიბრის ჩატარების თარიღის, სხვა საპრიზო ადგილის მომპოვებლების შესახებ, გამარჯვებულის ყარაბღში ომის მონაწილეობა კი აჩენს კითხვას, თუ რამდენად რელევანტურია ომის ხსენება საცხენოსნო შეჯიბრის გაშუქებისას და მით უფრო სათაურში ამ ფაქტორის ხაზგასმა.

## 2.4. შინაარსი

**შინაარსის ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენადაა ინფორმაციაში წარმოდგენილი ოფიციალური პირების და ასევე მათი პოზიცია, ვისაც გადმოცემული ამბავი უშუალოდ ეხება. შეფასება: 0 = გაშუქების დაბალი სტანდარტი; 1 = მაღალი სტანდარტი.**

**ქულა: 0.42**

შინაარსის ინდიკატორი სტანდარტის საშუალო მაჩვენებლეზე დაბალია (0.41), რადგან გაშუქების დროს მედიები ძირითადად სახელისუფლებო და ოფიციალური პირების პოზიციებს ეყრდნობოდნენ (73%) და ნაკლებად წარმოაჩენდნენ იმ ადამიანებს, ვისზეც ახალი ამბავი უშუალო გავლენას ახდენდა (0,09%), რაც ნაწილობრივ რეგიონული მედიის შეზღუდული რესურსითაც შეიძლება იყოს განპირობებული. სომხურენოვან მედიებში სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი ინციდენტების ორმხრივი სროლის გაშუქებაში, მეტწილად ოფიციალური პირების პოზიციები და შეფასებები იყო წარმოდგენილი. მედიებში ადამიანური ისტორიების რეპრეზენტაცია კონფლიქტის დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების, ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცების რეაბილიტაციის პროცესის, ომის დროს მომხდარი ისტორიების გაშუქებით ხდებოდა.

ქვეყნების ლიდერებიდან რეგიონულ მედიებში სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი (320) და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი (286) ლიდერობენ, რომელთაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი (166) მნიშვნელოვნად ჩამორჩება. თითქმის თანაბარი იყო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა (139) და თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის (133) გაშუქება. ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი რეგიონული მედიების მასალებში კი შედარებით ნაკლებ – 60-ჯერ იყო წარმოდგენილი, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ყველაზე ნაკლებად (31).

18 xeber.ge, 29 ოქტომბერი https://www.facebook.com/104504864588179/posts/410471490658180

**დიაგრამა 5.** პოლიტიკური ლიდერების გაშუქება 1 მაისი, 2021 - 31 იანვარი, 2022




სომხურენოვან რეგიონულ მედიაში ნიკოლ ფაშინიანის ნეგატიურ გაშუქებას (19), პოზიტიური სჭარბობდა (96), მაშინ, როცა აზერბაიჯანულენოვან მედიებში, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ნეგატიური გაშუქების არცერთი ფაქტი არ გამოვლენილა, ხოლო პოზიტიური გაშუქების რაოდენობა 37 იყო. აზერბაიჯანულენოვან რეგიონულ მედიებში არც თურქეთის პრეზიდენტის ნეგატიური გაშუქება გვხვდება, მაშინ როცა სომხურენოვანში 15 ასეთი შემთხვევა გამოვლინდა. რეგიონულ მედიებში თითქმის თანაბარი იყო რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პოზიტიური გაშუქების რაოდენობა (აზერბაიჯანულენოვანი 23; სომხურენოვანი 20;).

რეგიონულ მედიებში პოზიტიური გაშუქება საქართველოს ლიდერებთან მიმართებითაც ჭარბობს. თუმცა, აღნსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პოზიტიური გაშუქება სომხურენოვან მედიებში (89), აზერბაიჯანულენოვანთან შედარებით (18) საგრძნობლად მაღალია, რაც სომხეთში ტყვეების დაბრუნების მოლაპარაკებების პროცესში, საქართველოს როლით იყო განპირობებული.[19] საქართველოს პრეზიდენტი კი, რეგიონული მედიებიდან სომხურენოვანში უფრო ხშირად, ძირითადად დადებით კონტექსტში ფიგურურებდა, ხოლო აზერბაიჯანულენოვანში მისი ნეგატიური გაშუქების ერთადერთი შემთხვევა დავით გარეჯთან დაკავშირებულ დავას უკავშირდებოდა.[20]

სომხურენოვანი მედიებისგან განსხვავებით (16), აზერბაიჯანულენოვანში რუსეთის პრეზიდენტის ნეგატიური გაშუქება არ გვხვდება. ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კი ნეგატიურ კონტექსტში 3-ჯერ ავღანეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ახსენეს.

19 საქართველოს შუამავლობით აზერბაიჯანმა სომხეთს 15 სომეხი სამხედრო ტყვე აღდამის რაიონის დანაღმული ტერიტორიების რუქის სანაცვლოდ დაუბრუნა. https://bit.ly/3ChrVmO

20 რადიო ივრისი, 17 ნოემბერი, https://www.facebook.com/404613603252694/posts/1517801121933931

## 2.5. ბალანსი

**ბალანსის ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად თანაზომადად არის მასალაში წარმოდგენილი სხვადასხვა პოზიციები, გამოტოვებულია თუ არა რომელიმე მხარის პოზიცია. შეფასება: 0 = არ არის დაბალანსებული, 1 = დაბალანსებულია.**

ქულა: 0.30

ბალანსის ინდიკატორში პროფესიონალიზმის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (0.30). ბალანსის დაბალი მაჩვენებელი, უმეტესწილად მედიების მიერ რიგი მნიშვნელოვანი წყაროების გამოტოვებითაა (56%) განპირობებული. მედიების გაშუქება სხვადასხვა პოზიციების თანაბარ (23.17%) და საპირიპირო მხარეების (10.57%) რეპრეზენტაციას არ უზრუნველყოფდა, ხოლო ჟურნალისტების მიერ საპირიპირო მხარის კომენტარის მოპოვების მცდელობა მასალების მხოლოდ 1.47%-ში ჩანდა.

ცალკეული მაგალითები:

ბალანსის ინდიკატორის დარღვევისა და ერთიდაიგივე მოვლენის განსხვავებული პერსპექტივით გაშუქების თვალსაჩინო მაგალითია 8 ივნისს, სომეხი სამხედროს მიერ აზერბაიჯანის საზღვრის კვეთის შემთხვევა. როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, როგორც ინფორმაციის ვიზუალი, ასევე სათაურები სომეხი ჯარისკაცის მიერ საზღვრის კვეთის განსხვავებულ მოტივს გვთავაზობს:

| 24 NEWS.GE, აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული გამოცემა | JNEWS, სომხურენოვანი რეგიონული გამოცემა |
|---|---|
|   |   |
| **სათაური:** „სომხური დივერსიული ჯგუფის წევრი, რომელიც ლაჩინის დანაღმვას ცდილობდა დაკავებულია[21]“ | **სათაური:** „სომხეთში სამხედრო მოსამსახურე აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა[22]“ |

[21] 24 News.ge, 8 ივნისი, https://www.facebook.com/1510727729175828/posts/2911505269098060

[22] Jnews, 8 ივნისი, https://www.facebook.com/188861221858210/posts/997782184099439

24 News.ge-ის მასალაში ჟურნალისტი აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით აცხადებს, რომ დივერსიული ჯგუფის წევრმა, ცუდი მეტეოროლოგიური მდგომარეობით ისარგებლა და აზერბაიჯანის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდა, რის შემდეგ ის აზერბაიჯანული სამხედრო დანაყოფის წევრებმა დააკავეს. მასალა მხოლოდ აზერბაიჯანულ ოფიციალურ წყაროს ეყრდნობა და არ არის მოყვანილი სომხეთის ოფიციალური პოზიცია.

იგივე ინცინდენტს და აზერბაიჯანის თავდაცვის სამინტროს ბრალდებას Jnews-ი სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით უარყოფს. მედიის ინფორმაციით, რიგით კარტანიანს ნისლის გამო გზა აერია, დაიკარგა და აზერბაიანის კონტროლირებად ტერიოტიაზე შემთხვევით აღმოჩნდა.

**აღსანიშნავია ისიც, რომ** Jnews-მა 9 ივნისს, სომხეთის თავდაცვის სამინისტორიზე დაყდნობით გაავრცელა ინფორმაცია, დაკარგული სამხედრო მოსამხსახურის, სომხური მხარისთვის გადაცემის შესახებ.[23]

## 2.6. ენა

**ენის ინდიკატორი აფასებს, ხდება თუ არა შეურაცხმყოფელი, წამაქეზებელი ლექსიკის, სიძულვიის ენის, ქსენოფობიის, ორმაგი დატვირთვის მქონე ან ემოციური სიტყვების გამოყენება. შეფასება: 0 = გამოყენებული ენა პრობლემურია, 1 = არ არის პრობლემური.**

**ქულა: 0.64**

ჟურნალისტების მიერ წამაქეზებელი და სიძულვილის გამღვივებელი ენის გამოყენება გაშუქების 23%-ში გვხვდება.

ემოციურად დატვირთული სიტყვები, როგორიცაა გმირი ტანჯული, წამებული, მსხვერპლი სამხედრო მოსასმსახურეების, დაჭრილებისა და ტყვეების ისტორიების ამსხველ მასალებშია გამოვლენილი. ტერმინი ტერორისტი გამოყენებული იყო როგორც ავღანეთში მიმდინარე მოვლენების, ასევე აზერბაიჯანის მიერ სომეხი სამხედროების სასამართლო პროცესების გაშუქებისას.

**ცხრილი 8. ტერმინოლოგია**

| აზერბაიჯანულენოვანი რეგიონული მედია | | სომხურენოვანი რეგიონული მედია | |
|---|---|---|---|
| განთავისუფლებული | 83 | განთავისუფლებული | 24 |
| ოკუპანტი | 68 | ოკუპანტი | 29 |
| ტანჯული, წამებული | 66 | ტანჯული, წამებული | 14 |
| მსხვერპლი | 44 | მსხვერპლი | 194 |
| ტერორისტი | 26 | ტერორისტი | 27 |
| მტერი | 19 | მტერი | 37 |
| გმირი | 26 | გმირი | 62 |

[23] Jnews, 9 ივნისი, https://www.facebook.com/188861221858210/posts/1000068410737483

## 2.7. ბექგრაუნდი / კონტექსტი

ბექგრაუნდის/კონტექსტის ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად არის მასალაში საკმარისი ფონური და ისტორიული მონაცემები იმისთვის, რომ აუდიტორიამ ამბის არსი სრულად გაიგოს; ტოვებს თუ არა მასალა პასუხგაუცემელ კითხვებს. შეფასება: 0 = არ არის წარმოდგენილი ბექგრაუნდ ინფორმაცია, 1 = წარმოდგენილია.

ქულა: 0.68

სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან რეგიონულ მედიებში ბექგრაუნდის განმსაზღვრელი ინდიკატორებიდან, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, აუდიტორიის მიერ ამბის სრულად გაგებისთვის წარმოდგენილ ინფორმაციაზე მოდის (86%), ხოლო ახალ ამბავთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები გაშუქების 56%-შია წარმოდგენილი. აშკარა პასუხგაუცემელი კითხვები გაშუქების 38 %-ში  გვხვდება.

## 2.8. სიცხადე

სიცხადის ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად მარტივად და გასაგები ენით არის მოწოდებული ინფორმაცია. შეფასება: 0 = მასალაში არ არის სიცხადე; 1 = არის სიცხადე.

ქულა: 0.93

სიცხადის მაჩვენებელი (0.93), რაც მასალების მკითხველისთვის მარტივი და გასაგები ენით მიწოდებას ითვალისწინებს, როგორც სომხურენოვან (0.91), ასევე აზერბაჯანულენოვან მედიაშიც (0.95) მაღალია.

# 3. მგრძნობელობა კონფლიქტების გაშუქების მიმართ

კონფლიქტის გაშუქების მგრძნობელობის ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად არიდებს ჟურნალისტი გაშუქების დროს შეურაცხმყოფელ/გამაღიზიანებელ ძალადობის შემცველ ვიზუალის და აუდიო მასალის გამოყენებას თავს, რამდენად ნეიტრალურია ჟურნალისტის ტონი, არ არის გამოყენებული შეურაცხმყოფელი, სიძულვილის ენა და რამდენად მიუკერძოებელია ჟურნალისტი კონფლიქტის რომელიმე მხარის მიმართ. შეფასება: 0 = დაბალი მგრძნობელობა; 1 = მაღალი მგრძნობელობა.

ქულა: 0.57

კონფლიქტების გაშუქების მგრძნობელობის ინდიკატორი, საშუალოზე ოდნავ მაღალია. მედიები უმეტესწილად (98.2%) გამაღიზიანებელი, შეურაცხმყოფელი აუდიოსა და ვიზუალის გამოყენება თავს არიდებდნენ. გაშუქებისას მეტწილად (96%) არ არის გამოყენებული სიძულვილის ან შუღლის გამაღვივებელი ენა, 89%-ში ჟურნალისტები ამბავს ნეიტრალური ტონით გადმოსცემდნენ. მგრძნობელობის ქვეინდიკატორებში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ჟურნალისტების მიერ კონფლიქტის რომელიმე მხარის მხარდაჭერაა, სადაც გაშუქების 61.10%-ში ერთი მხარის მიმართ მიკერძოება ჩანს.

# 4. წითელი ხაზების გადაკვეთა

წითელი ხაზების გადაკვეთის ინდიკატორი აფასებს, ხდება თუ არა მასალაში ძალადობრივი ვიზუალის ან აუდიოს, სიძულვილის, შუღლის გამაღვივებელი ენის გამოყენება, ინდივიდის, ჯგუფის დამცირება, ცილისწამება, ხდება თუ არა ტერორისტული ჯგუფის მხარდამჭერი ან ქალების საწინააღმდეგო გაშუქება. შეფასება: 0 = წითელი ხაზები გადაკვეთილია, 1 = წითელი ხაზების გადაკვეთა არ ხდება.

ქულა: 0.95

სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიებში წითელი ხაზის გადაკვეთის ინდიკატორი (0.95) გაშუქების სტანდართან ახლოსაა. მონიტორინგის პერიოდში ძალადობრივი ვიზუალის გამოქვეყნების შემთხვევა 24-ჯერ დაფიქსირდა, ხოლო ემოციურად დატვირთული ან წამაქეზებელი ენის გამოყენების შემთხვევა – 35-ჯერ. გაშუქებისას სიძულვილის ენის გამოყენების მაგალითები ცოტა იყო. სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიებში, ემოციურად დატვირთული ენის გამოყენება, ყარაბაღის ომში დაღუპული ან დაშავებული სამხედროების ისტორიების გაშუქებისას გამოიყენებოდა. ძალადობის შემცველი ვიზუალი აზერბაიჯანულენოვან მედიაში დმანისში მომხდარი დაპირისპირების კადრებთან, ხოლო სომხურენოვან მედიებში ტყვედ ჩავარდილ სომეხ სამხედრო მოსამსახურეებთან იყო დაკავშირებული.

## 4.1 შუღლის გამაღვივებელი ენის გამოყენების მაგალითები

აზერბაიჯანულენოვან მედიაში შუღლის გამაღვივებელი ენის გამოყენების შემთხვევები, უმეტესწილად ჟურნალისტების მიერ ამბის გადმოცემის დროს გაკეთებულ შეფასებებში გვხვდება. რიგ შემთხვევებში, ჟურნალისტების მიერ გაკეთებული შეფასებები თანხვედრაშია საჯარო პირების განცხადებებთან. მსგავს ტერმინებს „სომხურ ვანდალიზმს", 24news.ge-ის გაშუქებაში, „სომეხ ვანდალებს" კი შუშის გამგებლის მაფტუნ აბასოვის შეფასებებში, ქალაქ შუშას სომხეთის დაქვემდებარების პერიოდის აღწერისას ვხვდებით.

სომხურენოვან მედიაში ისევე, როგორც აზერბაიჯანულენოვანში შუღლის გამაღვივებელი ენის გამოყენება უმეტესწილად ჟურნალისტების მხრიდან გვხვდება.

**აზერბაიჯანულენოვანი მედია.** 18 აგვისტოს 24news.ge-მ გააზიარა ინფორმაცია,[24] სათაურით „ოკუპაციისგან გათავისუფლებულ შუშაში ქართული დროშა აფრიალდა“. მასალა ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების შუშაში სტუმრობას შეეხებოდა, რა დროსაც სომხების ვანდალიზმში დადანაშაულება ხდებოდა. ჟურნალისტი სარედაქციო ტექსტში ვანდალიზმზე ეროვნული ნიშნით საუბრობდა:

> **რედაქცია: „ვიზიტისას მოინახულეს ისტორიული ადგილები და „სომხური ვანდალიზმის“ მტკიცებულების ამსახველი ადგილები“.**

სომხები ისტორიული და კულტურული ძეგლების გამანადგურებლებად კიდევ ერთ აზერბაიჯანულენოვან რეგიონულ გამოცემა Xeber.ge[25]-ის 21 სექტემბრის ინფორმაციაში არიან მოხსენიებული, რომელიც ყარაბაღში ქართველების სტუმრობას შეეხებოდა.

> **რედაქცია: „...ისინი სომხების მიერ ოკუპაციის დროს განხორციელებულ ნგრევის შედეგებს გაეცნობიან. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები დანგრეულ კულტურულ, ისტორიულ და რელიგიურ ძეგლებს მოინახულებენ“.**

ქალბაჯარის რაიონში არსებული ხუდავანგის მონასტრიდან სომეხი ღვთისმსახურების გაძევების შესახებ ინფორმაცია კი Xeber.ge-მ, აზერბაიჯანულ გამოცემა axar.az-ზე დაყრდნობით 22 ივლისს გამოაქვეყნა. სტატიაში სათაურით „სომეხი მღვდლები ხუდავანგის მონასტერს სამუდამოდ ტოვებენ“[26] სასულიერო პირი, ნერზეს ჰარატუნიანი აცხადებს, რომ 6 სომეხ მღვდელს მონასტრის ტერიტორიაზე ყოფნა საბოლოოდ აეკრძალა.[27] სტატიის ბოლოს ჟურნალისტი სომეხ მღვდლებს და რუსეთის ჯარს, მონასტრის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელებისთვის შესვლის აკრძალვასა და უდის თემის ქრისტიანი წევრებისთვის ღვთისმსახურების შეზღუდვაში ადანაშაულებს[28]. ამავე პუბლიკაციაში ჟურნალისტი სომეხ სასულიერო პირებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ „ანკლავად“ მოიხსენიებს:

> **რედაქცია: „შედეგად, როგორც ჩანს, აზერბაიჯანულმა მხარემ გადაწყვიტა ბოლო მოეღოს ქალბაჯარში „უძველესი სომხური ეკლესიის“ სახით ანკლავის არსებობას...“**

რადიო მარნეულმა 11 ოქტომბერს, გამოაქვეყნა ინფორმაცია, სათაურით „სომხური კულტურის მუშაკი საქართველოში არ შემოუშვეს“[29] ჟურნალისტი სომხურ წყარო armpress-ზე დაყრდნობით

24 24News.ge, 18 აგვისტო https://bit.ly/3hw7GrY
25 Xeber.ge, 21 სექტემბერი https://bit.ly/3lPNGfO
26 Xeber.ge, 22 ივლისი, https://bit.ly/3MjS1dk
27 სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ 2020 წლის ნოემბერში, „სომხური საოკუპაციო ძალების“ მიერ ქალბაჯარის ოლქის დატოვების შემდეგ, აზერბაიჯანმა გაითვალისწინა მოსკოვის თხოვნა, ხუდავანგის მონასტერი ღია ყოფილიყო სომეხი მორწმუნეებისთვის და რამდენიმე სომეხ მღვდელმსახურს ნება დართო ხუდავანგში დარჩენილიყვნენ.
28 „თუმცა, მოგვიანებით სომეხმა მღვდლებმა და რუსმა სამშვიდობოებმა ხუდავანგში აზერბაიჯანული უდის თემის წევრებისთვის მონასტერში ღვთისმსახურების აღკვეთა დაიწყეს“.
29 რადიო მარნეული, 11 ოქტომბერი, https://bit.ly/3HCNajZ

იუწყება, რომ გაგიკ გინოსიანს საქართველოს საზღვრის კვეთაზე უარი განუცხადეს. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში თავად გინოსიანი უარის მიზეზად პანდემისათან დაკავშირებულ შეზღუდვებს ასახელებს, ჟურნალისტი ამ ინცინდეტს სამცხე-ჯავახეთში არსებულ სეპარატისტულ განწყობებზე ანზოგადებს და აღნიშნავს, რომ გაგიგ გინოსიანი იმ სომეხ ინტელექტუალთაგან ერთ-ერთია, რომლებიც სეპარატიზმს უჭერს მხარს.

ავტორს ასევე წყაროების დაკონკრეტების გარეშე მოჰყავს „სომეხი მწერლების“ მოსაზრება იმის შესახებ, რომ გინოსიანისთვის საზღვრის კვეთაზე უარი, საქართველოს ამჟანიმდელი ხელისუფლების  პრო-თურქული პოლიტიკით იყო განპირობებული.

**ციტატა: „აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ქალაქი, ახალქალაქი, საქართველოს სომხებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონია. დროდადრო სომეხი სეპარატისტები აცხადებენ, რომ რეგიონს საქართველოსგან გამოყოფენ.**

**გინოსიანი ერთ-ერთი სომეხი ინტელექტუალია, რომელიც მხარს უჭერს სეპარატიზმს.**

**სომხური პრესა, საქართველოში შესვლაზე უარს, ირიბად უკავშირებდა მის საქმიანობას. სომეხი მწერლები ამტკიცებენ, რომ თბილისის ამჟამინდელი ხელისუფლება პროთურქულ პოლიტიკას ატარებს, რის გამოც ანსამბლ „კარინის“ ლიდერი საქართველოში არ შეუშვეს“.**

17 სექტემბერს 24News.ge-ს ფეისბუქ გვერდმა ინფორმაცია,[30] სათაურით „აზერბაიჯანის პოლიციამ სომხურ მანქანაზე ე. წ. დროშა ასე წაშალა“ გამოაქვეყნა. სტატიას ტექსტთან ერთად ერთვის ვიდეო, რომელშიც აზერბაიჯანის პოლიციის თანამშრომელი სომხურ მანქანაზე დროშას დანით ფხეკს, ჟურნალისტი კი ამბის აღწერისას კერძო საკუთრებაზე დროშის წაშლის პროცესს „უკანონობის აღმოფხვრად“ აფასებს, რაც ქმედებას პოზიტიურ მოვლენად წარმოაჩენს და პოსტ-კონფლიტურ სიტუაციაში შუღლის გაღვივების საშიშროებას ქმნის.

**ციტატა: „აზერბაიჯანის პოლიციამ, რომელიც სოფელ შურნუხზე გამავალ გორუს-გაფანის გზის 21 კილომეტრიან ზოლს აკონტროლებს, ამ გზაზე მიმავალ მანქაზე მორიგი უკანონობის აღმოსაფხვრელად საინტერესო მეთოდს მიმართა“.**

ეს ინცინდენტი სომხურენოვანმა რეგიონულმა გამოცემამ ფარვანა ტვ-მაც გააშუქა.[31] აზერბაიჯანულენოვანი მედიისგან გასხვავებით, ფარვანა ტვ-ს ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ პოლიციელმა „არცახის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის მიმართ შეურაცხმყოფელი ქმედება ჩაიდინა“ და დასძენს, რომ ინცინდენტის დროს მანქანაში არასრულწლოვნები იმყოფებოდნენ.

[30] 24News.ge,17 სექტემბერი, https://bit.ly/35k1a5I
[31] ფარვანა ტვ, 18 სექტემბერი, https://bit.ly/3MbgkKy

გამოიკვეთა ორი შემთხვევა, როდესაც მედია საჯარო პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს ასახავდა, სადაც მოწინააღმდეგე მხარე „გამანადგურებლებად“ და „ვანდალებად“ იყვნენ მოხსენიებული:

აზერბაიჯანულენოვანმა გამოცემა 24news.ge-ის ფეისბუქ გვერდმა, 24 ივნისს გააზიარა სტატია,[32] რომელსაც თან ახლავს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის შემდეგი სიტყვები: „სომხებმა ქალაქები პირველი ყარაბაღის ომის დროს კი არა, შემდეგ გაანადგურეს“. მასალა ილჰამ ალიევისა და  გაეროს ცივილიზაციათა ალიანსის წარმომადგენლის ანხელ მორატინოს შეხვედრის შემდეგ, აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ კომენტარს ასახავს.

პუბლიკაციაში მოყვანილი ილჰამ ალიევის ციტატა ყარაბაღის რეგიონზე სომხების გამანადგურებელ გავლენაზეა, რაც გამოცემას მასალის სათაურშიც აქვს გამოტანილი (სათაური: „ალიევი“: სომხებმა ქალაქები პირველი ომის დროს გაანადგურეს“).

> **ილჰამ ალიევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი: „როგორც მოგეხსენებათ, ქალაქების განადგურების თარიღი პირველი ყარაბაღის ომი არ არის, განადგურება მას შემდეგ დაიწყო. ისინი პირველი ყარაბაღის ომის შემდეგ 30 წლის განმავლობაში, რამდენიმე მიზეზის გამო, სისტემატიურად ანადგურებდნენ. პირველი მიზეზი ქურდობა იყო, დაშალეს სახლები და სამშენებლო მასალები გაზიდეს. მეორე მიზეზი აზერბაიჯანელი ხალხისთვის დაბრუნების შესაძლებლობის წართმევა იყო. ვინაიდან მათ ეგონათ, რომ სრულად სრულად განადგურების შემთხვევაში არავინ დაბრუნდებოდა“.**

20 აგვისტოს 24news.ge-მ ადგილობრივი აზერბაიჯანელების შუშაში სტუმრობის გაშუქებისას[33] შუშის გამგებლის მაფტუნ აბასოვის ციტატა მოიყვანა, სადაც სომხები „ვანდელებად“ არიან მოხსენიებული.

> **მაფტუნ აბასოვი შუშის გამგებელი: „...სომეხი ვანდალების მიერ ქალაქისთვის მიყენებული ზიანი ყველა ქუჩაზე და სახლზე ჩანს“.**

**სომხურენოვანი მედია.** ფარვანა ტვ-ს ფეისუქ გვერმა ამერიკელი ჟურნალისტის ლინდსი სნელის twitter-ზე დაყდრნობით აზერბაიჯანული  ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ პოსტი გამოაქვეყნა. ამბის აღწერისას, ავტორი სახელმძღვანელოს აკრიტიკებს და აღნიშნავს, რომ  „აზერბაიჯანელი ვაი ისტორიკოსების მიზანი“ ისტორიის გაყალბების მცდელობაა:[34]

---

32 24News.ge, 24 ივნისი, https://bit.ly/3Cc47AH
33 24News.ge, 20  აგვისტო, https://bit.ly/3K8DRtV
34 ფარვანა ტვ, 5 ნოემბერი, 2021  https://bit.ly/35jXkZZ

**რედაქცია: „ისტორიის გაყალბება თანამედროვე აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიის მთავარი ამოცანაა. ანტიმეცნიერული ცნობებით სავსეა აზერბაიჯანელი ვაი ისტორიკოსების ყველა სახელმძღვანელო და ნაშრომი. ამერიკელმა ჟურნალისტმა, ლინდსი სნელმა, Twitter-ის მიკრობლოგში მე-7 კლასისთვის აზერბაიჯანული სახელმძღვანელოდან „ყარაბაღის ისტორია“ პირველ მსოფლიო ომზე პარაგრაფიდან ფრაგმენტი გამოაქვეყნა. წიგნში ნათქვამია: „რუსეთის მიერ შექმნილმა და შეიარაღებულმა სომხურმა ბანდებმა მშვიდობიანი მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდი ჩაიდინეს. ასობით ათასი სომეხი ერევნის, განჯისა და ბაქოს უძველეს აზერბაიჯანულ მიწებზე გადასახლდნენ“.**

8 ნოემბერს სომხურენოვანი მედია ფარვანა ტვ-ს ფეისბუქ გვერდმა, წყაროს მითითების გარეშე, პოსტი შემდეგი აღწერით გამოაქვეყნა: „მშვიდობიანი მცხოვრებლების მხეცური დახვრეტა შუშის მახლობლად“[35]. პოსტში აღწერილია ინციდენტი, რომელიც ფარვანას ინფორმაციით, შუშის მიმდებარედ მოხდა. მედიის თანახმად, წყალსადენ მილებზე მომუშავე ჯგუფს სამხედრო ფორმაში ჩაცმული ადამიანი მიუახლოვდა და ყოველგვარი განმარტების გარეშე ცეცხლი გაუსნა, რის შედეგადაც ერთი მუშა გარდაიცვალა, ხოლო მეორემ გულ-მკერდის არეში ჭრილობები მიიღო.

სათაურში გამოყენებული მძაფრი ენის და თანდართული ვიზუალის გარდა, რომელიც ჭრილობებს ასახავს, გამოცემა ინფორმაციას წყაროს მითითების გარეშე ავრცელებს.

4 იანვარს News from Javakhk-Akhaltskha-მ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გააზიარა ინფორმაცია,[36] რომელსაც თან ერთვის შემდეგი აღწერა: „საქართველოს პარლამენტის შენობასთან აზერბაიჯანელთა გჯუფი, სომხებისთვის შეურაცხმყოფელი მუსიკის ფონზე ერთობოდნენ, ეთნიკურად სომეხი ქართველები, ძალოვანი სტრუქტურების რეაგირებას ელოდებიან“. სტატიაში News from Javakhk-Akhaltskha-ს რედაქტორი, სამცხე-ჯავახეთის მედია ანალიტიკური ცენტრის დირექტორი ედუარდ აივაზიანი აცხადებს, რომ აზერბაიჯანული ჯგუფების მხრიდან მსგავსი პროვოკაციები ხშირია. ამასთანავე ის აზრებაიჯანელი „პროვოკატორების“ საკუთარი ძალებით დასჯის ალბათობასაც არ გამორიცხავს.

**ედუარდ აივაზიანი, პოლიტოლოგი: „ასეთი პროვოკაციები ხდებოდა აზერბაიჯანის რეგიონებშიც, როცა ანტისომხური დემონსტრაციის შემდეგ სომეხი სცემეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქაურ სომხებს ეშინიათ ასეთი აგრესიული გამოვლინებების. მეტიც, ჯავახეთის სომხებს არათუ არ ეშინიათ, არამედ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ დასაჯონ ისინი, ვინც ახორციელებენ მსგავს პროვოკაციებს, როგორც თბილისში, ასევე მათ რეგიონშიც“.**

[35] ფარვანა ტვ, 8 ნოემბერი, 2021 https://bit.ly/3C8hmCw
[36] News from Javakhk-Akhaltskha.Net, 4 იანვარი, 2022, https://bit.ly/3C69scZ

7 ივლისს ფარვანა ტვ-ს ანგარიშმა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე Novostink.net სტატია,[37] სათაურით „ალიევი ახალმოვლენილი ჰიტლერია“ გამოქავეყნა. სტატიაში გლობალიზაციისა და რეგიონული კვლევების ცენტრის დირექტორი, პოლიტოლოგი სტეფან გრიგორიანი ილჰამ ალიევის ქმედებებს ჰიტლერის ქმედებეთან აიგივებს.

**სტეფან გრიგორიანი, გლობალიზაციისა და რეგიონული კვლევების ცენტრის დირექტორი: „ილჰამ ალიევი პერიოდულად სომხეთის წინააღმდეგ ტერიტორიულ პრეტენზიების და მუქარების გაჟღერებას აგრძელებს. სომხეთის სიუნიქის ოლქის ტერიტორიით ნახიჯევანის ექსკლავასთან კომუნიკაციისთვის აზერბაიჯანისთვის „ზანგეზურის დერეფნის“ მიწოდებით იმუქრება. აი, 1938 წელს პოლონეთისადმი მიმართული ჰიტლერის მოთხოვნების ანალოგია, რომ გერმანიითვს მიეწოდებინათ „დანციგის დერეფანი“.**

## 4.2 ძალადობის შემცველი ვიზუალი

ძალადობის შემცველი ვიზუალი სომხურენოვან მედიებში უმეტესწილად ფარვანა ტვ-ს ფეისბუქ გვერდზე გვხვდება. მათი უმრავლესობა, სომეხ სამხედრო ტყვეებს და საზღვარზე მომხდარ ინციდენტებს შეეხება.

20 მაისს ფარვანა ტვ-მ სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ვიდეო, როგორც აზერბაიჯანელი სამხედროების მიერ სომეხი სამხედროების ცემის და დამცირების ილუსტრაცია, უწყების განცხადებასთან ერთად გამოაქვეყნა[38]. ვიდეო ფეისბუკზე სენსიტიური კადრების აღმნიშვნელი ნიშნით გავრცელდა.




37 ფარვანა ტვ, 21 ივლისი https://bit.ly/3sBhg35
38 ფარვანა ტვ, 20 მაისი https://bit.ly/3ts3uis

27 მაისს სომხურენოვანმა ფარვანა ტვ-მ გამოაქვეყნა აზერბაიჯანის მიერ ტყვედ აყვანილი სამხედროების ფოტოები[39], რომლებიც მიწაზე სახედამხობილი წვანან. ტელეკომპანიის ინფორმაციით, აღნიშნული ფოტოები აზერბაიჯანულ მედიებში ვრცელდებოდა.




27 ივლისს, ფარვანა ტვ-მ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე, წყაროს მითითების გარეშე ორი ფოტო გამოაქვეყნა.[40] ერთი ფოტო, ტანსაცმელშემოხეულ ადამიანს ასახავს, ხოლო მეორე ფეხის დაზიანე-

[39] ფარვანა ტვ, 27 მაისი https://bit.ly/371TkOJ
[40] 27 ივლისი, ფარვანა-ტვ https://bit.ly/3pJSIbQ

ბით ლოგინში მწოლიარე პირს. ფოტოებზე ადამიანის იდენტობა დაფარულია და მას თან ახლავს ტექსტი, რომლის თანახმად აღნიშნული პიროვნება აზებაიჯანელმა სამხედრომა აწამეს:

> **რედაქცია:** **„არცახის მარტუნის რაიონის სოფელ მაჭკალაშენის ტყვედ აყვანილი მაცხოვრებლის გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ის აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მხრიდან ცემისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა, რის შედეგადაც მარჯვენა ფეხი დაუზიანდა. მისი ტანსაცმელი შემოხეული იყო. ამჟამად მოქალაქე თავის სახლში იმყოფება. „აზერბაიჯანული მხარე თავის აგრესიულ ქცევას აგრძელებს და არ უშვებს ხელიდან შესაძლებლობას, რომ აწამოს და დაამციროს მათი კონტროლის ქვეშ აღმოჩენილი მოქალაქეები“.**

პოსტში არ არის მითითებული არცერთი ოფიციალური წყარო, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად ჩაიტარა დაზარალებულმა პირმა კვლევა და ინფორმაცია მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.



8 აგვისტოს, ავღანეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას, ფარვანა ტვ-ს ფეისბუქ გვერდზე, აეროპორტში მომხდარი ტერორისტული აქტის კადრები გავრცელდა,[41] სადაც დაშავებული და დასისხლიანებული მოქალაქეები ჩანან.




9 სექტემბერს ფარვანა ტვ-მ საკუთარ ფეიბუქ გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელიც 1922 წელს სმირნიში სომხურ დასახლებაზე თურქების თავდასხმას შეეხებოდა. პოსტს თან ახლავს ფოტო, წარწერით „სომხებისა და ბერძნების ხოცვა-ჟლეტა სმირნიში", რომელზეც სამხედრო სამოსში ჩაცმული პირები და სამი ადამიანის მოკვეთილი თავია გამოსახული.[42] ფოტო ფეისბუქზე სენსიტიური კადრების აღმნიშვნელი ნიშნით გავრცელდა.




[41] ფარვანა ტვ, 8 აგვისტო https://bit.ly/3ikmqLr
[42] ფარვანა ტვ, 9 სექტემბერიhttps://bit.ly/3Cb05c4

8 ნოემბერს სომხურენოვანი მედია ფარვანა ტვ-ს ფეისბუქ გვერდმა, წყაროს მითითების გარეშე გამოაქვეყნა პოსტი, წარდგენით „მშვიდობიანი მაცხოვრებლების მხეცური დახვრეტა შუშის მახლობლად“,[43] რომელსაც თან ახლავს არაიდენტიფიცირებადი პირის ფოტო, ჭრილობებით გულ მკერდის არეში.




11 ნოემბერს სომხეთ-აზერბაიანის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის გაშუქებას,[44] ფარვანა ტვ-მ თან დაურთო ვიდეო, რომელშიც სომეხ და აზერბაიჯანელ სამხედროებს შორის ფიზიკური დაპირისპირებაა ასახული,[45] კადრში ჩანს, თუ როგორ ურტყამს რამდენიმე ადამიანი მიწაზე ერთ პირს.

[43] ფარვანა ტვ, 8 ნოემბერი https://cutt.ly/eTbbGPv

[44] სომხეთის თანდაცვის სამინსტროს ინფორმაციით, სომხეთ-აზერბაიჯანის სასაზღვრო ხაზის ერთ-ერთ აღმოსავლეთ ზონაში აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ჯავშანტექნიკის მეშვეობით სომხეთის სუვერენულ ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

[45] ფარვანა ტვ, 11 ნოემბერი https://bit.ly/3szj2lq




აზრებაიჯანულენოვან მედიებში ძალადობრივი ვიზუალის გამოყენება ძირითადად დმანისში მომხდარი დაპირისპირების გაშუქებისას გვხვდება, 17 მაისს Aqtual.ge-ის მიერ გავრცელებულ 30 წუთიან ვიდეოში[46] დაპირიპირების მონაწილე ეთნიკური აზერბაიჯანელების მიერ კერძო ქონების დაზიანების კადრებია ასახული.




[46] Aqtual.ge, 17 მაისი. https://bit.ly/3MIrFaX

8 ივნისს 24News.ge-მ გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „ლაჩინში დაკავებულია სომხური დივერსიული ჯგუფი, რომელიც ნაღმების გათავსებას ცდილობდა“.[47] სტატიას თან ახლავს დაკავებული სომეხი სამხედრო მოსამსახურის ფოტო, რომელიც ავტომატებით შეიარაღებულ აზერბაიჯანელ ჯარიკაცებს ჰყავთ დაკავებული.

**24News.ge**
June 8, 2021 ·

Laçında mina basdırmaq istəyən erməni diversiya qrupunun üzvü ələ keçirildi

A member of the Armenian diversion group who wanted to bury a mine in Lachin was captured

· Hide Translation · Rate this translation



24NEWS.GE

**Laçında mina basdırmaq istəyən erməni diversiya qrupunun üzvü ələ keçi...**

[47] 24News.ge, 8 ივნისი, https://bit.ly/3HC1QA1

# 5. რელიგიური გრძნობებით მანიპულირება

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა შემთხვევები, რომლებიც ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში რელიგიური გრძნობებით მანიპულირებას ახდენდა. მსგავსი შინაარსის მასალებს, როგორც მონიტორინგის სუბიექტი სომხურენოვანი მედია (ფარვანა ტვ), ასევე ფეისბუკის ქართულენოვანი მომხმარებლები სხვადასხვა ჯგუფებსა და გვერდებზე მანიპულაციურად ავრცელებდნენ.

22 ოქტომბერს ფეისბუქ ჯგუფში „სომხეთი და სომხები“ ერთ-ერთმა ანგარიშმა გააზიარა ვიდეო[48], სადაც ჩანს, რომ ჯარისკაცთა ჯგუფი ჯვარს ხსნის. პოსტის აღწერის მიხედვით, ეს მოვლენა არცახში პოსტის გამოქვეყნების მომენტში ხდება და ჯარისკაცებს აზერბაიჯანელი გენერალი ბარხუდაროვი ხელმძღვანელობს.

ფაქტების გადამოწმების პორტალმა „მითების დეტექტორმა[49]“ ვიდეოს გადამოწმების შედეგად გაარკვია, რომ ვიდეო მანიპულაციურად ვრცელდებოდა და ის ფეისბუქზე შეცდომაში შემყვანად მონიშნა. რეალურად, ვიდეო არა 2021 წელს, არამედ ერთი წლით ადრე, 2020 წლის 26 ოქტომბერს ყარაბაღის ომის დროს იყო გადაღებული.




[48] სომხეთი და სომხები, 22 ოქტომბერი, https://bit.ly/3qvKAqh

[49] მითების დეტექტორი, 29 ოქტომბერი, ყარაბაღის კონფლიქტის ძველი ვიდეო მცდარი აღწერით ვრცელდება, https://bit.ly/3tvB9ZZ

იდენტური ინფორმაცია რუსულენოვანმა ვებ-გვერდმა Infoteka24[50]-მა გამოაქვეყნა. თავად საჯარო ფეისბუქ ჯგუფი „სომხეთი და სომხები“ კი 2020 წლის 23 ივლისს ყარაბაღში ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე შეიქმნა[51]. აღნიშნულ ჯგუფში ჯვრის დემონტაჟის სხვა ვიდეობიც[52] ვრცელდებოდა, რა დროსაც პოსტის ავტორები ისეთ ტერმინებს იყენებდნენ, როგორიცაა, „მტერი“, ვანდალი“, „ბარბაროსი“, „ჯვრებთან მებრძოლი“.

მთაში ჯვრის დემონტაჟის ვიდეო იდენტური ტექსტით ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებულმა ანგარიშმა თემო ბოკელავაძემ[53], ასევე ჯგუფის „ცოტა ცოტა ყველაფერზე“ ადმინმა გააზიარა[54]. თანდართულ ტექსტში ქმედება მეზობელი აზერბაიჯანის მხრიდან ქრისტიანებისადმი მტრობად იყო შეფასებული:

**„ესეც ჩვენი მეზობელი, აზერბაიჯანი! რომ ქითხო ჩვენ მტრობა არ გვინდაო! ფაქტი სახეზეა!.. მორიგი ჯვრის „დამარცხება“ აზერბაიჯანელი სამხედროების მიერ“.**




50 Инфотека 24, 21 ოქტომბერი https://bit.ly/3qpeBIr
51 სომხეთი და სომხები, https://bit.ly/3iBoAG1
52 სომხეთი და სომხები, 7 ნოემბერი, https://bit.ly/3D6q7xt, https://bit.ly/37VBsVB
53 https://bit.ly/3L7Cjkb
54 https://bit.ly/3JDFVua

მონიტორინგის სუბიექტი მედიებიდან ჯვართან დაკავშირებული ინციდენტები ფარვანა ტვ-მ გააშუქა. 5 ივლისს ფარვანა ტვ-ს ფეიბუქ გვერდზე გავრცელებულ ვიდეოს, რომელშიც აზერბაიჯანელი ჯარისკაცი მემორიალზე განთავსებული ჯვრის მიმართულებით ავტომატიდან ისვრის, ახლავს კომენტარი „აზერბაიჯანული ბარბაროსობის კიდევ ერთი მაგალითი.[55]“

14 ნოემბერს კი ფარვანა ტვ-მ ჯვრის დემონტაჟის ვიდეო ფეისბუქ გვერდზე შემდეგი აღწერით გააზიარა:[56]

> **რედაქცია:** **„კიდევ ერთი „პოზიტიური სიგნალი“ აზერბაიჯანელებისგან. სანამ სომხეთის ხელისუფლება აზერბაიჯანთან მეგობრობაზე საუბრობს, ეს უკანასკნელი აჩვენებს, თუ რამდენად მზად არიან მეგობრობისთვის. მტერმა სიხარულით ჩამოაგდო არცახში აღმართული ჯვარი... ჯვარი, სავარაუდოდ, არცახში, ქარვაჭარის მხარეში მდებარეობს...“**

აღწერაში რედაქცია სომეხ სამხედროებს მტრად მოიხსენიებს და ჯვრის დემონტაჟის პროცესს პოლიტიკურ ჭრილში, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების შესაძლებლობის წინააღმდეგ არგუმენტად იყენებს.

55 ფარვანა ტვ, 5 ივლისი, https://bit.ly/3HCNJdB
56 ფარვანა ტვ, 14 ნოემბერი, https://bit.ly/3vxliKE

# 6. მანიპულაცია სამცხე-ჯავახეთში თურქული ბაზის განთავსების თემით

შუალედურ რეპორტში, მონიტორინგის სუბიექტ მედიაში დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში თურქული ბაზის განთავსების თემით მანიპულირების ერთი შემთხვევა.

7 მაისს Javakhk Media-მ ფეისბუქ გვერდზე[57] სომხური ონლაინ გამოცემა hayeli.am-ის ინფორმაცია, სათაურით „თურქული სამხედრო ბაზა ჯავახეთში, ქართული სილა ანკარას და ბაქოს“[58] გააზიარა. მასალაში, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის აზერბაიჯანში ვიზიტს ეხება, ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ საქართველოში თურქეთის პრეზიდენტის სამომავლო ვიზიტისას, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ჯავახეთის რეგიონში თურქული სამხედრო ბაზის განთავსების საკითხი განიხილონ.




57 Javakhk Media, 7 მაისი, https://bit.ly/3tkTQ2e

58 hayeli.am, 7 մայիսի, Թուրքական ռազմաբազա Ջավախքո՞ւմ. Անկարայի ու Բաքվի վրացական ապտակը https://bit.ly/37LAyuV

სტატიაში, წყაროს დაკონკტერების გარეშე ნათქვამია, რომ ბოლო დროს საქართველოში თურქული ბაზის მშენებლობის შესახებ გავრცელებული ჭორები სომხურ მედიაში აქტიურად განიხილება. ასევე საუბარია იმაზე, რომ თურქეთი ჯავახეთში ავიაბაზის მშენებლობისთვის ემზადება, რომელიც აზერბაიჯანის სამხედრო ბაზებზე მოსახვედრად გზას შეამოკლებს. ჟურნალისტი ასევე აღნიშნავს, რომ მსგავსი ჭორები 2020 წელს, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ომამდე და ომის პერიოდში, რუსულ მედიებზე დაყდნობით ვრცელდებოდა.

სტატიაში არ არის მოყვანილი არცერთი ოფიციალურ წყარო, მეტიც ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ინფორმაციას ოფიციალური წყაროები არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. დაუდასტურებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადებულ მასალას ჟურნალისტი შემდეგი ციტატით ასრულებს:

> **„ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიგოთ, ოფიციალურად შეიძლება თუ არა საქართველომ სომხებს მსგავსი უსიამოვნო „სიურპრიზი“ გაუკეთოს, ისევ თურქეთ-აზერბაიჯანის ტანდემის ინტერესების სასარგებლოდ“.**

კონსპირაციებს იმის შესახებ, რომ საქართველოში, კერძოდ კი სამცხე-ჯავახეთში თურქეთის ბაზის განთავსება იგეგმება, სხვადასხვა ანტიდასავლური აქტორები და კრემლთან დაკავშირებული ქართულოვანი მედია[59] წლებია ავრცელებენ და ამ პროცესს საქართველოს ნატოში ინტეგრირების საკითხს უკავშირებენ. მანიპულირება ხდება იმ ფაქტით, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და შესაბამისად, საქართველოს ნატოში გაწევრიანება ავტომატურად ქვეყანაში თურქეთის ჯარის განთავსებას ნიშნავს. ამავე დროს, ხდება მანიპულაცია იმ თემით, რომ სამცხე-ჯავახეთში, იქ, სადაც საბჭოთა ჯარი იყო განთავსებული, თურქეთის ჯარის შემოსვლა, ისტორიული ტრავმებს გააღვივებს და თურქებსა და საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ სომხებს შორის კონფრონტაციას გამოიწვევს[60].

59 მითების დეტექტორი, 22 მარტი, 2018. „ვინ სვამს ტოლობის ნიშანს ნატოში ინტეგრაციასა და საქართველოში თურქეთის ჯარების განთავსებას შორის?“ https://bit.ly/3lrta49

60 ანტიდასავლური პროპაგანდა, 2018, (2019). https://bit.ly/3tmWYLI

# 7. გზავნილები რუსულენოვან და ქართულენოვან ფეისბუქ პლატფორმებზე

რუსულენოვან მედიებში (სპუტნიკი – sputnik-georgia.ru და პრესკლუბ ჯეირან მედია – pressunity.org), რომელთა მონაცემები მხოლოდ თვისებრივ ნაწილშია განხილული, გასხვავებული იყო თავად ფეისბუკზე მასალების გამოქვეყნების პრაქტიკა.

## 7.1 PRESSUNITY.ORG

პრეს-კლუბ ჯეირან-მედიას გზავნილები, რომლებიც ძირითადად ექსპერტების მოსაზრებებს ემყარებოდა, ერთის მხრივ, ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთმა კონფლიქტის მოგვარება წლების განმავლობაში ვერ შეძლო და არც შესაბამისი ბერკეტები აქვს, ხოლო მეორეს მხრივ, ხაზი ესმებოდა რუსეთის განსაკუთრებულ როლს კონფლიქტის მოგვარებაში, წარმატებული სამშვიდობო მისიის განხორციელებასა და რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ანტიდასავლური გზავნილები განსაკუთრებით გამოკვეთილად ევროკავშირთან და მის ინიციატივებთან დაკავშირებით გამოვლინდა, რაც ევროსაბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებთან შეხვედრებს უკავშირდებოდა. ამასთანავე პრეს-კლუბ ჯეირან-მედიას გზავნილები მონიტორინგის საწყის ეტაპზე კიდევ ერთი რეგიონული მოთამაშის – თურქეთის წინააღმდეგაც იყო მიმართული, თუმცა მოგვიანებით შეიცვალა, რაც განსაკუთრებით თურქეთის პრეზიდენტ ერდოგანის 3+3[61] რეგიონული თანამშრომლობის ფორმატის ინიცირების შემდეგ გახდა თვალსაჩინო[62]:

61 „3+3“ ფორმატი თურქეთის პრეზიდენტის ინიციატივაა, რომელიც მან ყარაბაღის ომის დასრულების შემდეგ, 2020 წელს გაახმოვანა და ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და მეორე მხრივ რუსეთ-თურქეთ-ირანის რეგიონულ ინტეგრაციას ითვალისწინებს.

62 რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობა რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის გარანტია. პრეს-კლუბ ჯეირან მედია, 4 ოქტომბერი, რუსეთი და თურქეთი, პრაგმატულობა როგორც რეგიონის განვითარების გასაღები https://bit.ly/36gpTb1

**დასავლეთი**

- ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში ევროპის მიერ შემოთავაზებული მექანიზმები არაეფექტიანია.[63]
- აზერბაიჯანთან მიმართებით ევროკავშირს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში პოლიტიკა არ აქვს.[64]
- ევროკავშირი აღარ წარმოადგენს იმ ორგანიზაციას, რომელიც ათი წლის წინ იყო, ალიანსი შიდა დაპირისპირებების ფონზე დასუსტებულია და ყოველწლიურად კრიზისი უფრო და უფრო ღრმავდება.
- სომხეთისთვის გამოყოფილი ევროკავშირის ეკონომიკური დახმარება მცდელობაა, ევროკავშირმა სომხეთი „იყიდოს" და სამხრეთ კავკასიაში, რუსეთის საზღვრებთან ახლოს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად პლაცდარმად გამოიყენოს.[65]
- შარლ მიშელის ვიზიტი იმის დემონსტრირებაა, რომ ევროკავშირს სამხრეთ კავკასიაში „დიდ თამაშში" მონაწილეობის სურვილი გაუჩნდა.[66]

**რუსეთი**

- ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირება მხოლოდ რუსეთს შეუძლია.[67]
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ალტერნატივა ევრაზიის ეკონომიკური კავშირია.[68]
- აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა წევრი ქვეყნებისთვის ეკონომიკური და ტექნოლოგიების კუთხით არის მიმზიდველი, თუმცა ევროკავშირს ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები არ გააჩნია.[69]
- რეგიონული თანამშრომლობის 3+3 ფორმატი სომხეთს აზერბაიჯანთან და თურქეთთან დააკავშირებს და სატრანსპორტო „ჩიხიდან" გამოსვლას შესაძლებელს გახდის.[70]
- რუსეთი რეგიონში მთავარ მოთამაშედ რჩება.[71]
- გათავისუფლებულ მიწებზე რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებს ახალი იმპულსი ეძლევა.[72]
- მაშინ, როცა რუსეთმა დიდი როლი შეასრულა ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტაში, ევროკავშირს რეგიონის მიმართ ინტერესი არ ჰქონდა.[73]
- აზერბაიჯანის მიერ ნეიტრალიტეტის არჩევა ქვეყანას საკუთარი ეროვნული ინტერესებით მოქმედების საშუალებას აძლევს.[74]

**თურქეთი**

- თურქეთი მიკერძოებული მხარეა, რუსეთი – ნეიტრალური.[75]
- შუშაზე კონტროლის აღდგენა კავკასიაში თურქეთს პოზიციებს უმყარებს.[76]
- თურქეთის შეიარაღებული ძალების გამოჩენა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბაქოს ინტერესებში არ შედის.[77]

---

63 პრეს-კლუბ ჯეირან მედია, 20 ივლისი, 2021https://bit.ly/3MdMZzn
64 იქვე
65 პრეს-კლუბ ჯეირან მედია, 20 ივლისი, 2021 მოულოდნელი გააქტიურება აღმოსავლეთის მიმართულებით: შარლ მიშელის ძირითადი გზავნილები სომხეთში ვიზიტისას https://bit.ly/3HJkwxW
66 პრეს-კლუბ ჯეირან მედია, 20 ივლისი, 2021 მოულოდნელი გააქტიურება აღმოსავლეთის მიმართულებით: შარლ მიშელის ძირითადი გზავნილები სომხეთში ვიზიტისას https://bit.ly/3HJkwxW
67 Пресс-клуб Джейран Медиа, 14 მაისი, 2021. https://www.facebook.com/1608182412791087/posts/2983810655228249
15 დეკემბერი, „3+3": ვის და რისთვის სჭირდება ახალი პლატფორმა სამხრეთ კავკასიაში?" https://bit.ly/3ItLTMK 12 ივლისი, 2021, „რუსეთის როლი სამშვიდობო სფეროში საკვანძოა – აზერბაიჯანელი ექსპერტი: https://bit.ly/3tnT03Q
68 პრეს-კლუბ ჯეირან მედია, 20 ივლისი, 2021 „ევროსაბჭოს პრეზიდენტის ვიზიტი აზერბაიჯანში: ბაქოს პრიორიტეტები და გზავნილები", https://bit.ly/3MdMZzn
69 იქვე
70 პრეს-კლუბ ჯეირან მედია, 15 დეკემბერი, „3+3": ვის და რისთვის სჭირდება ახალი პლატფორმა სამხრეთ კავკასიაში?" https://bit.ly/3ItLTMK
71 Пресс-клуб Джейран Медиа, 18 ივნისი, 2021. https://bit.ly/3xxkfZL
72 Пресс-клуб Джейран Медиа,27 მაისი, 2021. https://bit.ly/2VuBzlh
73 იქვე
74 პრეს-კლუბ ჯეირან მედია, 21 სექტემბერი, 2021 აზერბაიჯანი და ევროკავშირი: შესაძლებელია თუ არა ურთიერთობის რეფორმირება? https://bit.ly/3sDN9Z3
75 Пресс-клуб Джейран Медиа, 18 ივნისი, 2021, „ნატოს სამიტი, ერდოღანი შუშაში, ბაიდენი და პუტინი: კავკასიაში მთავარი პოლიტიკური მოვლენების შედეგებზე". https://www.facebook.com/1608182412791087/posts/2983810655228249
76 Пресс-клуб Джейран Медиа, 18 ივნისი, 2021, „ნატოს სამიტი, ერდოღანი შუშაში, ბაიდენი და პუტინი: კავკასიაში მთავარი პოლიტიკური მოვლენების შედეგებზე". https://bit.ly/3xxkfZL
77 Пресс-клуб Джейран Медиа, „აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქული შეიარაღებული ძალების გამოჩენა ბაქოს ინტერესებში არ შედის – ექსპერტი", 25 მაისი, 2021 https://bit.ly/2VueT4F

## 7.2 SPUTNIK-GEORGIA.RU

მიუხედავად იმისა, რომ სპუტნიკ საქართველოს რუსულენოვან საიტზე, კონფლიქტების თემებზე რამენიმე სტატია მომზადდა, როგორც შუალედურ ანგარიშში იყო აღნიშნული,[78] გამოცემა ამ მასალებს საკუთარ ფეისუქ გვერდზე არ აზიარებდა, სადაც მეტწილად სტატიები საქართველოს შიდა პოლიტიკურ, სოციალურ ან გასართობ თემებზე ქვეყნდებოდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ მასალები დმანისის მოვლენებთან დაკავშირებით შიდა ეთნიკურ დაპირისპირებაზე, ასევე ინფორმაციები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საქართველოს სამშვიდობო საშუამავლო მისიის[79] და აზერბაიჯან-საქართველოს შორის სადავო ტერიტორიაზე მდებარე დავით გარეჯის მონასტრის შესახებ[80].

სპუტნიკის ისეთი მასალები, რომლებიც, ერთის მხრივ, რეგიონში ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში დასავლეთის, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების როლის შემცირებას,[81] ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის განსაკუთრებულ როლს უსვამდა ხაზს, გამოცემას ფეისბუქზე არ გაუვრცელებია. ამ თემაზე მასალები კი უმეტესწილად სხვადასხვა პოლიტილოგის ინტერვიუებს ეყრნდობოდა და შემდეგ გზავნილებს შეიცავდა:

- ყარაბაღის კონფლიქტში თურქეთმა ღია ჩარევით, რეგიონში პოზიციები გაიმყარა,[82]
- რუსეთმა ყარაბაღის კრიზისის მოგვარებაში გარკვეული წვლილი ითამაშა და არსებულ პრობლემებზე მუშაობას სამი ქვეყნის (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) ფორმატში გააგრძელებს.[83]
- საქართველო სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მედიაციის პროცესში ნაწილობრივ დასავლეთის პოზიციების გამტარია და მას გარკვეული შედეგების მიღწევა, თუმცა ძალიან ვიწრო თემებზე, თეორიულად შეუძლია.[84]

---

78 შუალედური ანგარიში https://mdfgeorgia.ge/uploads//Press-GEO.pdf

79 Sputnik, 13 მაისი, 2021. Тбилиси готов стать площадкой для переговоров между Баку и Ереваном https://www.facebook.com/479574228862020/posts/1968338159985612
12 ივნისი, 2021 Грузия помогла освободить 15 граждан Армении, задержанных азербайджанской стороной. https://www.facebook.com/479574228862020/posts/1995459327273495

80 Sputnik, 5 მაისი, 2021 О чем говорили Гарибашвили и Алиев в Баку? https://sputnik-georgia.ru/politics/20210505/251653007/O-chem-govorili-Garibashvili-i-Aliev-v-Baku.html Визит премьера Грузии в Баку станет новым импульсом в отношениях двух стран – посол https://sputnik-georgia.ru/politics/20210505/251646660/Vizit-premera-Gruzii-v-Baku-stanet-novym-impulsom-v-otnosheniyakh-dvukh-stran---posol.html

81 Sputnik, 5 ნოემბერი, სომეხმა პოლიტოლოგმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის სამხრეთ კავკასიაში ვიზიტის მიზნებზე ისაუბრა. https://sputnik-georgia.ru/20211105/armyanskiy-politolog-rasskazal-o-tselyakh-vizita-zamestitelya-gossekretarya-ssha-na-yuzhnyy-kavkaz-261818578.html

82 Sputnik, 24 აგვისტო, „როგორ გააძლიერა ყარაბაღის ომმა თურქეთის პოზიციები სამხრეთ კავკასიაში" https://sputnik-georgia.ru/20210618/Kak-voyna-v-Karabakhe-usilila-pozitsii-Turtsii-na-Yuzhnom-Kavkaze-252056651.html

83 Sputnik, 30 ივნისი, ვაქცინაცია, მესამე მსოფლიო ომი, სოციალური ქსელები და ყარაბაღი – რაზე ისაუბრა პუტინმა პირდაპირ ეთერში, https://sputnik-georgia.ru/20210630/Vaktsinatsiya-tretya-mirovaya-sotsseti-i-Karabakh--o-chem-govoril-Putin-na-pryamoy-linii-252174127.html

84 Sputnik, 11 ოქტომბერი, თბილისის სამშვიდობო ინიციატივა ფაშინიანისა და პუტინის შეხვედრამდე: ხედი მოსკოვიდან და ერევნიდან https://sputnik-georgia.ru/20211011/mirnaya-initsiativa-tbilisi-pered-vstrechey-pashinyana-i-putina-vzglyad-iz-moskvy-i-erevana-260456778.html

- აშშ შიშობს, სამხრეთ კავკასიაში გავლენა არ დაკარგოს და რეგიონულ დღის წესრიგში სიახლეების შეთავაზებით გააქტიურებას ცდილობს.[85]

## 7.3 კავკაზ პლიუსი და The Caucasian Telegraph

როგორც შუალედურ ანგარიშში აღინიშნა,[86] კავკაზ პლიუსის და The Caucasian Telegraph-ის ფეისბუკ გვერდები მონიტორინგის სუბიექტებად თვისებრივ ნაწილში მათი არმენოფობიური სარედაქციო პოლიტიკის გამო შეირჩნენ.

შუალდური ანგარიშისგან გასხვავებით,[87] სადაც The Caucasian Telegraph-ი საქართველოსა და ყარაბაღის კონფლიქტებს შედარებით ნეიტრალურად აშუქებდა, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი დაპირისპირებების შემდეგ,[88] ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში, The Caucasian Telegraph სომხეთთან მიმართებით ოფიციალური აზერბაიჯანის გზავნილებს იმეორებდა და საზღვარზე მათ ქმედებებს „პროვოკაციად“ აფასებდა:

- „სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა კიდევ ერთხელ მოახდინეს პროვოკაცია კალბაჯარის ოლქის მიმართულებით“.[89]
- „აზერბაიჯანული არმიის მიერ სომხური მხარის მორიგი პროვოკაციის დროს დატყვევებული საომარი ტროფები!“[90]
- „16 ნოემბერს სომხური პროვოკაციების შედეგად აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე საბრძოლო მოქმედებების დროს აზერბაიჯანის არმიის 7 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა“.[91]

The Caucasian Telegraph-ზე გამოქვეყნებული არმენოფობიური შეფასებების ნაწილი რესპონდენტის მოსაზრებებს ეფუძნებოდა, კერძოდ, კავკასიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორის გურამ მარხულიას, რომელიც სომხეთს საფრთხედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორი-

---

85 Sputnik, 5 ნოემბერი, სომეხმა პოლიტოლოგმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის სამხრეთ კავკასიაში ვიზიტის მიზნებზე ისაუბრა. https://sputnik-georgia.ru/20211105/armyanskiy-politolog-rasskazal-o-tselyakh-vizita-zamestitelya-gossekretarya-ssha-na-yuzhnyy-kavkaz-261818578.html

86 კონფლიქტების გაშუქების მონიტორინგი - აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიებში, https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/213

87 The Caucasian Telegraph, 15 მაისი, 2021. ნიკოლ ფაშინიანი რუსეთის პრეზიდენტს სამხედრო დახმარებას სთხოვს. https://www.facebook.com/100907098457590/posts/243347764213522
The Caucasian Telegraph, 10 ივნისი, 2021. ამერიკელი სენატორი რობ პორტმანი სამაჩაბლოს ოკუპაციის შესახებ https://www.facebook.com/100907098457590/posts/260020092546289

88 13 ნოემბერს სომხეთ-აზერვაიჯანის საზღვარზე დაწყებული სროლა ორმხრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა — „სამი დღის განმავლობაში დაპირისპირებული მხარეები ურთიერთგამომრიცხავ და საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებენ ინტენსიური ბრძოლების შედეგად დაჭრილების, დახოცილებისა და დატყვევებული სამხედროების შესახებ“ რადიო თავისუფლება, 16 ნოემბერი https://bit.ly/3tTvxZT

89 The Caucasian Telegraph, 13 ნოებერი, „სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა კიდევ ერთხელ მოახდინეს პროვოკაცია კალბაჯარის ოლქის მიმართულებით“ https://cutt.ly/4YvaA5d

90 The Caucasian Telegraph, 11 ნოებერი, „აზერბაიჯანული არმიის მიერ სომხური მხარის მორიგი პროვოკაციის დროს დატყვევებული საომარი ტროფები!!!“ https://cutt.ly/eYbJ85v

91 The Caucasian Telegraph, 17 ნოებერი, „16 ნოემბერს სომხური პროვოკაციების შედეგად აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე საბრძოლო მოქმედებების დროს აზერბაიჯანის არმიის 7 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა...“ https://cutt.ly/rYu22f3

ების, კერძოდ აფხაზეთის კონტექსტში განიხილავდა, რის საილუსტრაციოდაც ბაგრამიანის ბატალიონის[92] ისტორია მოჰყავდა:

- აფხაზეთის ომის დროს, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს, რომლებშიც ძირითადად ბაგრამიანის ბატალიონის წევრები მონაწილეობდნენ, ქართველები სომხებს არ აპატიებენ[93].
- აფხაზეთში პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება სომხების ხელშია, საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარების შემთხვევაში, პოლიტიკური ძალაუფლება სომხების ხელში აღმოჩნდება.[94]

რაც შეეხება კავკაზ პლიუსს, ისევე როგორც შუალედურ ანგარიშში, გამოცემა კვლავ აგრძელებდა არმენოფობიური გზავნილების გავრცელებას და სომხების, საერთაშორისო, რეგიონალურ ასპარეზზე როგორც ნაციონალისტების და სეპარატისტების წარმოჩენას ახდენდა:

- სომხები საქართველოში სამცხე-ჯავახეთში სეპარატისტულ განწყობებს აღვივებენ,[95]
- ყარაბაღის ომის შემდეგ სომხები „ბუფერული ზონის“ შექმნას საქართველოს ტერიტორიების, კერძოდ სამცე-ჯავახეთის ხარჯზე შეეცდებიან[96],
- სომხებს აფხაზეთის ანექსიის მიზნით, იქ დარჩენილი ქართველების განდევნა სურთ,[97]
- იმ ფონზე, რომ აფზხაზეთში ქართული ენის სწავლება აიკრძალა, 24 სომხური სკოლა ფუნქციონირებს,[98]
- სომხური ლობი რუსეთში, რუსეთ-თურქეთს შორის კონფლიქტის დაწყებაზე მუშაობს,[99]
- სომხეთმა ხუჯაბის მონასტერი მიითვისა[100] და ახლა იმ მიწაზე აცხადებს პრეტენზიას, რომელზეც სამების ტაძარია აგებული,[101]

---

[92] ბაგრამიანის ბატალიონი 1992-93 წლებში აფხაზეთის ომის დროს ჩამოყალიბდა. ბატალიონი, რომელიც ძირითადად გაგრის, გუდაუთისა და ტყვარჩელის ზონაში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, ომში სეპარატისტების მხარეს იბრძოდა. აღნიშნული შენაერთი საბჭოთა სომეხი მარშლის ივანე ბაგრამიანის სახელს ატარებდა.

[93] ბაგრამიანის ბატალიონი 1992-93 წლებში აფხაზეთის ომის დროს ჩამოყალიბდა. ბატალიონი, რომელიც ძირითადად გაგრის, გუდაუთისა და ტყვარჩელის ზონაში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, ომში სეპარატისტების მხარეს იბრძოდა. აღნიშნული შენაერთი საბჭოთა სომეხი მარშლის ივანე ბაგრამიანის სახელს ატარებდა.

[94] The Caucasian Telegraph, 29 იანვარი, 2022 „რა კავშირი აქვს კრასნოდარის ტერიტორიას საქართველოსთან? ვინ დაიწყო ომი აფხაზეთში, საიდან არიან აფხაზები, როგორია აფხაზეთის მომავალი?“ https://cutt.ly/OPy4gYQ

[95] კავკაზ პლიუსი, 24 აგვისტო, 2021, https://bit.ly/2X8G05Z

[96] კავკაზ პლიუსი, 2 აგვისტო, 2021, „სომეხ ნაციონალისტებს სურთ თავიანთი „ბუფერული ზონის“ გავრცელება საქართველოში“ https://bit.ly/3IK2ynw

[97] კავკაზ პლიუსი, 2 აგვისტო, 2021, აფხაზეთიდან „ზღვის პირას სომხეთის“ შესაქმნელად სურთ დარჩენილი ქართველების განდევნა“ https://bit.ly/3iFGkkJ

[98] კავკაზ პლიუსი, 16 სექტებმერი, 2021 „არც ერთი ქართული სკოლა 24 (სხვა წყაროების მიხედვით 32) სომხური სკოლის ფონზე – სეპარატისტული აფხაზეთის რეალობა“ https://bit.ly/3kH5Sih

[99] კავკაზ პლიუსი, 29 ნოემბერი, 2021, „სომხური ლობის ახალი „საშინელებათა ისტორია“ – „დიდი ტურანი“ https://cutt.ly/hYyEExu

[100] კავკაზ პლიუსი, 30 აგვისტო, 2021, „ამხანაგო ფაშინიან, დააბრუნე ხუჯაბი!“ https://bit.ly/2XaIX5Q

[101] კავკაზ პლიუსი, 3 იანვარი, 2022, „სომხები პრეტენზიას აცხადებენ მიწაზე, რომელზეც წმინდა სამება – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძარია აგებული“ https://cutt.ly/WO0mZYR

- საქართველოში მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტებისა და დესტაბილიზაციის უკან „სომეხი პროვიკატორები“ დგანან.[102]
- ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას კოორდინაციას სომხეთის კრემლის ლობი უწევს.[103]
- რუსოფობიით შეპყრობილ სომეხ ნაციონალისტებს არ ესმით, რომ საკმარისია რუსეთმა უბრალოდ დატოვოს სამხრეთ კავკასია და სომხური ნეონაცისტური სახელმწიფოებრიობა უბრალოდ ლიკვიდირდება.[104]

102 კავკაზ პლიუსი, 25 მაისი, 2021 „ვინ და რატომ ახდენს კონფლიქტების პროვოცირებას საქართველოში?“ https://bit.ly/3fJv9WC

103 კავკაზ პლიუსი, 27 მაისი, 2021. „რუბენ ტატულიანი კონტროლს უწევს აფხაზეთისა და ენგურჰესის ენერგეტიკულ სექტორს, ნამახვანის ჰესის წინააღმდეგ პროტესტის ფონზე“ https://bit.ly/34N7WMT

104 კავკაზ პლიუსი, 12 მაისი, 2021. „საკმარისია რუსეთმა უბრალოდ დატოვოს სამხრეთ კავკასია და სომხური ნეონაცისტური სახელმწიფოებრიობა უბრალოდ ლიკვიდირდება“ https://bit.ly/3uAxF5A

# 8. მედია პროფილები

## 8.1 აზერბაიჯანულენოვანი მედია

### AKTUAL.GE

საინფორმაციო პორტალმა Aktual.ge-მ ფუნქციონირება 2020 წლის 21 აპრილში დაიწყო. მისი დამფუძნებელია „აქტუალ მედია“[105]. გამოცემა ქართულ, აზერბაიჯანულ, თურქულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი.

Aktual.ge-ს ფეისბუკ გვერდს[106] , რომელიც 2019 წლის 15 აგვისტოს დაფუძნდა და Gürcüstanda Biz-ი იწოდებოდა, Aktual.ge 2020 წლის 25 ივნისიდან ქვია. ფეისბუკ გვერდს 2 ადმინისტრატორი საქართველოდან, 3 კი აზერბაიჯანიდან მართავს. გვერდს 23,000 გამოწერა აქვს, ხოლო მოწონებების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია გჯუფის ფეისბუქ გვერდზე არ ფიქსირდება youtube არხს[107] კი — 560 გამომწერი.




105 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVIyOwIsX3qmYsntmLmFJI53u5CERIBs3zIEmXJLILx4Nhn0kGzkSKsYno]5oIB
106 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 . https://www.facebook.com/aktualge
107 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.youtube.com/channel/UCovBEv8QnpmccF98h6s3Qdg

### BORCHALITV

ბორჩალი-ტვ-ის[108] დომეინი 2000 წელს აშშ-ს კალიფორნიის შტატშია რეგისტრირებული. ტელეკომპანიას საიტზე არ აქვს განთავსებული ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ.

ტელეკომპანიის ფეისბუქ გერდი 2016 წელს შეიქმნა. გვერდს 3 ადმინისტრატორი საქართველოდან მართვას 12,930 გამოწერა და 9,310 მოწონება აქვს.[109]

### GÜNDƏLIK - GÜRCÜSTAN

ვებ-გვერდი gundelik.ge ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა ფუნქციონირებს Gündəlik – Gürcüstan -ის ფეისბუკ გვერდი[110], რომელიც 2016 წელს არის რეგისტრირებული. თავდაპირველად გვერდის სახელი იყო „საპარლამენტო არჩევნები – 2016“, 2016 წლის 31 ოქტომბერს კი ის Gündəlik – Gürcüstan-ად გადაკეთდა. გვერდი მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზეა ხელმისაწვდომი.




საიტის რეგისტრაციის მონაცემებში ელმადდინ მამედლის ელექტრონული მისამართია მითითებული.

ფეისბუკ გვერდს  26,134 გამოწერა და 17,133 მოწონება აქვს.

108 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.facebook.com/borchalitv/
109 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.facebook.com/borchalitv
110 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. Gündəlik – Gürcüstan – Home | Facebook

### MARNEULI TV

მარნეული ტვ (www.marneulitv.ge), როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2006 წელს დაფუძნდა[111]. ტელევიზია ქვემო ქართლში ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მაუწყებლობს. არხის გადაცემები ასევე „გლობალ ტვ"-ის, „მაგთის", სიჯისი სდა სხვა ტელეოპერატორის მეშვეობით ვრცელდება.

მარნეული ტვ-ს ფეისბუკ გვერდს[112], რომელიც 2013 წელს არის შექმნილი, 36,390 გამოწერა და 19,929 მოწონება აქვს, youtube არხს[113] კი – 1.22K გამომწერი.

### 24NEWS.GE

ახალი ამბების პორტალი 24news.ge 2018 წლის სექტემბერში[114] საქართველოს ლიდერ მედიის[115] მიერ მარნეულში დაფუძნდა. გამოცემა ოთხ ენაზეა (აზერბაიჯანული, ქართული, რუსული, ინგლისური) ხელმისაწვდომი. პორტალს ინტერნეტ ტელევიზიაც აქვს.

გამოცემის ფეისბუკ გვერდს[116], რომელიც 2014 წელს Borçalitv-ის სახელით იყო რეგისტრირებული, 2018 წელს ჯერ Borçalı-24NEWS, ხოლო ამავე წლის დეკემბრიდან 24News.ge დაერქვა. გვერდს 52,047 გამოწერა და 20,957 მოწონება აქვს, ხოლო youtube არხს[117], რომელიც აზერბაიჯანულად მაუწყებლობს 16,4K გამომწერი.




111 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFC4QniTeGOsuL28nqD06U7hhpOK[wZrlHaCPjldLcuFJ
112 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.facebook.com/MARNEULITV/
113 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.youtube.com/channel/UCQBG29vHcRIA97zlcJb1LIg/featured
114 https://24news.ge/about
115 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFAn01a40tuqeLZzWs7EzxdGSdGI5vJg6mTflXqg1fluu
116 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.facebook.com/24newsgeofficial/
117 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.youtube.com/channel/UCyCWRCdLmr8JITLhHifk50w

### RADIO BOLNELI

სამაუწყებლო კომპანია „ბოლნელი“ 1997 წელს დაარსდა. ამ პერიოდიდან 2010 წლის ივლისამდე იგი „ტელე–რადიო კომპანია XII არხი“-ს სახელწოდებით მაუწყებლობდა, ხოლო 2010 წლიდან სამაუწყებლო კომპანია ბოლნელად დარეგისტრირდა .

2015 წელს კომპანიამ რადიო მაუწყებლობის ლიცენზია FM-107,3 დიაპაზონში (http://bolneli.ge) მოიპოვა. სხვადასხვა დროს რადიო ახორციელებდა პროექტებს ისეთი ორგანიზაციების მხარდამჭერით, როგორიცაა ეუთო, ღია საზოგადოება საქართველო, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვა.

რადიოს ფეისბუქ გვერდი 2020 წლის 28 თებერვალს შეიქმნა, მას 114 გამომწერი და 111 მოწონება აქვს.[118]

### RADIO IVRISI

აზერბაიჯანულენოვანი რადიო ივრისი მედიაჰოლდინგ სპექტრის შემადგენლობაში შედის და ამავე ორგანიზაციის დომეინზე[119] ფუნქციონირებს. რადიო „ივრისი“ 2016 წელს, ჟურნალისტთა ასოციაცია „მეცენატის“ პროექტის ფარგლებში, ფონდის – „ღია საზოგადოება – საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

რადიოს ფეისბუქ გევრდი 2017 წლის 2 აპრილს, Ivrisi Fm-ის სახელით შეიქმნა და მალევე სახელი Radio Ivrisi-ად შეიცვალა, გვერდს 1,208 გამოწერა და 1,033 მოწონება აქვს.[120]

### RADIO MARNEULI 96.9 FM

რადიო „მარნეული“ (www.marneulifm.ge) ქვემო ქართლის რეგიონში პირველი სათემო მაუწყებლობაა, რომლის დაფუძნებას BBC World Service Trust-მა, „სტუდია რე-მ“ და ჟურნალისტთა კავშირმა „ხალხის ხმა[121]“ ჩაუყარეს საფუძველი. მართალია, რადიო 2006 წელს შეიქმნა, თუმცა სამაუწყებლო ლიცენზია არხმა მხოლოდ 2015 წელს მოიპოვა.

რადიო „მარნეულის“ ვებ-გვერდზე ინფორმაცია ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეა ხელმისაწვდომი.

---

118 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://bit.ly/3IODFz2
119 http://radio.speqtri.ge/
120 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/IVRISI
121 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVIyOwIsX3qmYsntmLmFAtJoAMh]iuToqg7n9uBL58gi8R[PdLt5UzIYieMa[RU

მარნეულის რადიოს ფეისბუკ გვერდს[122], რომელიც 2015 წელს არის რეგისტრირებული, 34,184 გამოწერა და 15,835 მოწონება აქვს, Youtube არხს[123] კი – 3.22K გამოწერი.

#### XEBER.GE

Xeber.ge აზაერბაიჯანულენოვანი ონლაინ საინფორმაციო პორტალია, რომლის შესახებ ინფორმაცია არც ვებ-გვერზე, არც ფეისბუკზე მითითებული არ არის. ვების დომენი 2020 წლის აპრილში საქართველოშია რეგისტრირებული, ხოლო ფეისბუქ გვერდი 2020 წლის 2 მაისსა შექმნილი[124]. გვერდს ამ ეტაპზე მხოლოდ 628 გამომწერი და 555 მოწონება აქვს.

#### YENI YOL

yeniyol.ge აზერბაიჯანულენოვანი საზოგადოებრივი გაზეთია, რომელიც ონლაინ გამოდის. ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის თანახმად ის 2015 წლიდან ფუნქციონირებს. გაზეთის საიტზე დამფუძნებლად საქართველოს ახალგაზდების დახმარებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა მითითებული (Georgian Youth Aid and Awareness Organization).

Yeni Yol-ის ფეიბუქ გვერდი 2018 წლის 30 ოქტომბერს არის დარეგისტრირებული. გვერდს 692 გამოწერა და 671მოწონება აქვს.[125]

### 8.2 სომხურენოვანი მედიები

#### AKHALKALAKI NEWS

Facebook გვერდი Akhalkalaki News[126] 2020 წლის 31 მარტს შეიქმნა. გვერდზე როგორც სხვა ადგილობრივი მედიის ახალი ამბები, ასევე საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატის და პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრის სამველ პეტროსიანის მიმართვები ვრცელდება. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს გვერდი აქტიურად აზიარებდა პარტია „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებულ მასალებს.

გვერდს 3,977 გამოწერა და 2,633 მოწონება აქვს.[127]

---

122 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/marneulifm
123 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.youtube.com/channel/UChWSDYsfb6islJxGwyJ1pDg
124 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/xeber.ge
125 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/Yeni-Yol-331048807450400
126 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/akhalkalakinews
127 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/akhalkalakinews

### AKHALTSKHA.NET

სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო საიტი akhaltskha.net 2016 წლიდან ფუნქციონირებს. გამოცემა „სამცხე-ჯავახეთის მედია ანალიტიკური ცენტრის“ მიერ არის დაფუძნებული[128].

ვებ-გვერდი ოთხენოვანია და სომხურ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი. ფეისბუკ გვერდი News from Javakhk-Akhaltskha.Net[129] 2011 წლის 21 ივლისს არის შექმნილი და მას 3,830 გამომწერი და 3,730 მოწონება აქვს. გვერდს 4 ადმინისტრატორი საქართველოდან, 1 კი სომხეთიდან მართავს.




### ALIQ MEDIA

Aliq Media-ს დომენი (Aliq.ge ) 2015 წლის 5 ივნისსაა რეგისტრირებული. მედია საშუალების პარტნიორები არიან „ევროკავშირი საქართველოსთვის“, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“, ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) და Equal Rights & Independent Media (ERIM).

გამოცემის ფეისბუკ გვერდი[130] 2015 წლის 14 ივნისს არის შექმნილი და მას 2 ადმინისტრატორი სომხეთიდან, 2 საქართველოდან და 1 ამერიკიდან ჰყავს. გვერდს 19,328 გამოწერა და 13,334 ლაიქი აქვს, ხოლო youtube არხს[131] – 1.25K გამოწერა.

128 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwIsX3qmYsntmLmFPB1qyKw]vnSWBnRgk5fNyMDk1H[ArvO68o9EzdiXh0W
129 https://www.facebook.com/javakhk.akhaltskha.net
130 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.facebook.com/aliQmedia
!31 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.youtube.com/channel/UCuFebSGQcHJhf9SB7oum1ZA




### ATV 12

ტელეკომპანია ATV 12  (https://bit.ly/3ztIVnL) ახალქალაქში 2001 წელს  დაფუძნდა. YouTube არხზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ტელევიზია 15 წელზე მეტია არსებობს. ATV-12 ახალქალაქის, საქართველოსა და მსოფლიოს ახალ ამბებს სომხურ ენაზე აშუქებს.

ATV-12-ის ფეისბუქ გვერდი 2020 წლის 16 აგვისტოს შეიქმნა. გვერდს 2 ადმინისტრატორი საქართველოდან, ხოლო ერთი სომხეთიდან მართავს. მას 4,104 გამოწერა და 3,231 მოწონება აქვს,[132] ხოლო YouTube არხი 2016 წლის 25 ივლისსაა რეგისტრირებული.[133]




[132] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022  https://www.facebook.com/atv12akhalkalaki
[133] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.youtube.com/c/ATV12Akhalkalaki/channels

### JAVAKHK MEDIA

Javakhkmedia.com საინფორმაციო პორტალია, რომლის დომენი 2013 წლის 7 ოქტომბერსაა რეგისტრირებული. ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე მონაცემები მედია საშუალების მფლობელის და სარედაქციო კოლეგიის შესახებ. Akhaltskha.net-ის მთავარ რედაქტორს ედუარდ აივაზიანს Facebook[134] გვერდზე მითითებული აქვს, რომ ის ონლაინ გამოცემა Javakhk Media-ს რედაქტორიც არის. ამ ორი მედია საშუალების შინაარსი ერთმანეთის იდენტურია.

ვებ-გვერდი ოთხენოვანია და სომხურ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი. ფეისბუკ გვერდზე[135], რომელსაც 3,325 გამოწერა და 3,213 მოწონება აქვს, მითითებულია, რომ გვერდი ჯავახეთის შესახებ ერთიანი საინფორმაციო რესურსია. გამოცემის ფეისბუკ ანგარიში 2011 წელს არის შექმნილი და მას Javakhk – History Archive ეწოდებოდა. გვერდი Javakhk Media-ს სახელით 2013 წლის 19 დეკემბრიდან ფუნქციონირებს და მას 3 ადმინისტრატორი სომხეთიდან, 1 კი საქართველოდან მართავს.




### JNEWS.GE

ჯავახეთის საინფორმაციო ცენტრი (jnews.ge) ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მთავრობის კონტროლი და სამოქალაქო ჩართულობა ჯავახეთში“ ფარგლებში 2014 წლის ოქტომბერს შეიქმნა. მედია გამოცემა ორგანიზაცია

134 https://www.facebook.com/eduard.ayvazyan
135 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.facebook.com/Javakhk.Media

„ღია საზღვრების[136]“ მიერ ახალქალაქში არის დაფუძნებული. გამოცემა ძირითადად დასავლური ფონდების მხარდაჭერით ფუნქციონირებს.

Jnews.ge სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზეა ხელმისაწვდომი.

ჯავახეთის საინფორმაციო ცენტრის სომხურენოვანი ფეისბუკ გვერდი[137] 2018 წლის იანვარშია რეგისტრირებული და მას 6 ადმინისტრატორი საქართველოდან, ხოლო 1 რუსეთიდან მართავს. ფეისბუკ გვერდს 3,688 გამოწერა და 3,243 მოწონება აქვს, youtube არხს[138] კი – 5.55K გამოწერა.




## ფარვანა ტვ

ტელე-რადიო კომპანია „ფარვანა“ (Парвана Тв http://parvana.ge/) კონსტანტინ ვარდანიანმა ნინოწმინდაში 2001 წლის 12 იანვარს დააფუძნა.[139] არხის გადაცემები სომხურ ენაზეა ხელმისაწვდომი.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიშის[140] თანახმად, ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ კონსტანტინ ვარდანიანი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. 2013 წლის გაზაფხულიდან 2020 წლის მარტამდე,

136 https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVIyOwIsX3qmYsntmLmFIUA3BcfPZWI64ZtQQ7XyEhnRx]jhVpNu4ISOBXiyTKG
137 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.facebook.com/JavakhkNews.ge/?ref=page_internal
138 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.youtube.com/channel/UCXDkGjkwx6CoxN2BFL1nW8g
139 https://transparency.ge/en/blog/tv-station-deputy-chairperson-municipal-council-ninotsminda-wins-tenders-without-competition
140 https://transparency.ge/ge/blog/ninocmindis-sakrebulos-tavmjdomaris-moadgilis-televizia-ninocmindis-municipalitetshi-tenderebs

ვარდანიანი ერთდროულად „ფარვანას“ დირექტორი და ნინოწმინდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. 2021 წლის 9 მარტს ვარდანიანმა ტელევიზიაში ხელმძღვანელის პოზიცია დატოვა და კომპანიის დირექტორად მისი მეუღლე, ალბინა ვარდანიანი დაინიშნა.

ფარვანა ტვ-ს ფეისბუქ გვერდი 2017 წლის 5 აგვისტოს შეიქმნა. გვერდს 64,367 გამოწერა და 31,652 მოწონება აქვს,[141] youtube[142] არხს კი – 13.1K.

### RADIO NOR

სათემო რადიო „ნორის“ (https://nor.ge/) ინტერნეტ-პორტალი საქართველოში 2012 წლის 5 სექტემბერსაა რეგისტრირებული. რადიო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სიხშირეზე FM 100.1 მაუწყებლობს. რადიოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის დეკემბრიდან ნინოწმინდის სათემო რადიო სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოში პირველი ლიცენზირებული სათემო მაუწყებელი გახდა. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ორ – სომხურ და რუსულ ენაზეა ხელმისაწვდომი. რადიოს დონორები არიან ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ და ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED).

რადიო ნორი სომხურ და რუსულ ენებზეა ხელმისაწვდომი.

რადიო ნორის ფეისბუქ გვერდი 2012 წლის 20 სექტემბერს შეიქმნა, მას 13 ადმინისტრატორი საქართველოდან, ხოლო 1 სომხეთიდან მართავს. გვერდს 22,795 გამოწერა და 9,842 მოწონება აქვს,[143] youtube[144] არხს კი – 11.5K.




[141] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/televidenia
[142] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.youtube.com/channel/UCtsgnN2vBISECmnIngsTNtw
[143] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/radiotvnor
[144] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.youtube.com/c/radionorGeorgia

#### SKNEWS.GE

სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო პორტალი sknews.ge (სამხრეთის კარიბჭე) გაზეთ „სამხრეთ კარიბჭის“ ბაზაზე შეიქმნა. გაზეთი 2004-2017 წლებში ქართულ და სომხურ ენებზე გამოიცემოდა. გამოცემის ონლაინ ვერსია 2010 წლიდან ფუნქციონირებს, რადიო კი – 2016 წლიდან. მედია საშუალების დონორები არიან: ღია საზოგადოების ფონდი, ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის, „დოიჩე ველეს“ აკადემია (DW Akademie).

Sknews.ge ქართულ და სომხურ ენებზეა ხელმისაწვდომი, ხოლო გამოცემის სომხურენოვანი Facebook-გვერდი (Հարավային Դարպաս) 2020 წლის 9 იანვარსაა შექმნილი. Sknews.ge-ს ფეისბუქ გვერდის ნაცვალდ პროფილი აქვს შექმნილი, რომელსაც 4,999 მეგობარი ჰყავს.[145]

#### TV9NEWS.GE

ტელეკომპანია „მე-9 არხი“ (TV9news.ge) , რომლის იურიდიული სახელწოდება შპს „იმპერიაა“[146], 1998 წლიდან მაუწყებლობს. არხის მაუწყებლობა ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში მეექვსე ციფრული მაუწყებლობის საშუალებით ვრცელდება.

მე-9 არხის ვებ-გვერდი ქართულ და სომხურ ენებზეა ხელმისაწვდომი.

არხის ფეისბუკ გვერდი[147] არა ჯგუფის არამედ საჯარო პირის ფორმატში არის შექმნილი, გამომწერების რაოდენობა არ არის გასაჯაროებული youtube არხს[148] კი – 12.1K გამოწერა აქვს.

### 8.3 რუსულენოვანი მედიები

#### PRESS CLUB JEIRAN MEDIA

Press Club Jeiran Media-ს (pressunity.org) ვებ-გვერდზე მითითებული აქვს, რომ 2016 წლიდან ფუნქციონირებს. ჩვენს შესახებ განყოფილებაში მითითებულია, რომ მიუხედავად სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული წინააღმდეგობებისა, ვებ-გვერდი ცდილობს იყოს ობიექტური და მიმდინარე მოვლენების შესახებ თავისი პლატფორმა ნებისმიერი შეხედულების ექსპერტსა და ჟურნალისტს დაუთმოს. ვებ-გვერდი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ამბებს რუსული ენის გარდა, მათსავე ენებზე აშუქებს.

---

[145] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/profile.php?id=100061579884817
[146] https://drive.google.com/file/d/1lOF-erQITipr0fv1V3AjH1hm9eSUSyS2/view
[147] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.facebook.com/TV9News.AM
[148] ბოლო წვდომა 26 მარტი 2022. https://www.youtube.com/channel/UCiIYSWvrayKsAS2GPdyiFmQ

სხვა ინფორმაცია, მათ შორის გამომცემლისა და რედაქტორის შესახებ, ვებზე ხელმისაწვდომი არ არის. ჯეირან მედიას IP მისამართი[149] სანკტ-პეტერბურგში 2020 წლის 12 აგვისტოსაა რეგისტრირებული, თუმცა რესგისტრაციის მფლობელის ვინაობა დაფარულია.

Press Club Jeiran Media-ის ფეისუქ გვერდი[150] 2015 წლის მაისში სახელწოდებით პრეს-კლუბი თანამდეგობრობა შეიქმნა და სახელი 2021 წლის იანვარში პრეს კლუბ ჯეირან მედიით შეიცვალა. ფეისბუქ გევრდს სამი ადმინისტრატორი ჰყავს, რომელთანაგან ერთი აზერბაიჯანში, ერთი სომხეთში, ხოლო ორი რუსეთშია. გვერდს 6,306 გამოწერა და 5,874 მოწონება აქვს.[151]




### სპუტნიკი-საქართველო

შპს „სპუტნიკ ჯორჯია" (https://sputnik-georgia.ru/) საქართველოში საჯარო რეესტრში ოფიციალურად 2015 წლის 23 იანვარს დარეგისტრირდა. სპუტნიკი მულტიმედიური საერთაშორისო პროექტია, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის 2013 წლის 9 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა. სპუტნიკმა, რომელსაც რუსეთის მთავრობა ფლობს, საერთაშორისო არენაზე საინფორმაცია სააგენტო RIA Novosti და „რუსეთის ხმა" ჩაანაცვლა.

შპს „სპუტნიკ-ჯორჯიას" 100%-იანი წილის მფლობელი ანტონ (ტატო) ლასხიშვილია, რომელიც 1991 წლიდან გაზეთ „სვაბოდნაია გრუზიას" ხელმძღვანელია.

149 https://whois.domaintools.com/pressunity.org
150 https://www.facebook.com/pressunity
151 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/pressunity

რუსულენოვანი სპუტნიკ-საქართველოს ფეისბუქ გვერდი 2017 წლის 7 მაისს შეიქმნა და მისი 9 ადმინისტრატორიდან 5 რუსეთში, ხოლო 4 საქართველოშია. გვერდს 64,842 გამოწერა და 57,104 მოწონება აქვს.[152]

## 8.4 ქართულენოვანი მედიები

### კავკაზ პლიუსი

ონლაინ გამოცემა კავკაზ პლიუსის ვებ-გვერდზე (ge.kavkazplus.com) ინფორმაცია „კავკაზ პლიუსის" რედაქციის შესახებ მითითებული არ არის, ხოლო სტატიები ანონიმურად, ავტორის გვაროს გარეშე ქვეყნდება. ვებ-გვედის დომეინების გადამოწმებისას ვიგებთ, რომ საიტი kavkazplus.com 2015 წელს დაარეგისტრირდა. ამჟამად საიტის IP მისამართი კალიფორნიაშია რეგისტრირებული, ოფიციალურ სახელწოდებად – kavkazplus.com – новости Грузии.

ონლაინგამოცემა „კავკაზ პლიუსი" (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ხშირად აქვეყნებს ეთნიკური სომხების საწინააღმდეგო, ქსენოფობიური კონტექსტის და დისკრიმინაციული შინაარსის მასალებს. გამოცემა ხშირად წერს აფხაზეთში სომხების მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და ჯავახეთში სომხური სეპარტიზმის გაძლიერების შესახებ.

კავკაზ პლიუსის ფეისბუქ გვერდი 2016 წლის 6 მაისს შეიქმნა. გვერდს 1,161 გამოწერა და 1,131 მოწონება აქვს.[153]

### THE CAUCASIAN TELEGRAPH

ქართულენოვანი ფეისბუქ გვერდი The Caucasian Telegraph 2020 წლის 2 ოქტომბერს შეიქმნა. 2021 წლის ნოემბრიდან გვერდმა აქრთულთან ერთად რუსუენოვანი პოსტების გაზიარებაც დაიწყო. ყოველდღიური სიახლეების გარდა, გვერდი ხშირად აქვეყნებს სომხების, განსაკუთრებით კი სომხური დიასპორის წინააღმდეგ მიმართულ ვიდეოებს. სხვადასხვა დროს „კავკასიური ტელეგრაფი" აქვეყნება ვიდეოებს სათაურებით „სომხური დიასპორის რევანშიზმის ისტერიული ქადაგება", „რუსეთის სომხური დიასპორის ავადმყოფი გეგმები: ახალი ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის მიმართ", „სომხური დიასპორა გლობალურ საფრთხედ გადაიქცა, პირველი საფრანგეთი დაეცემა..." და სხვა.

გვერდს 43,083 გამოწერა და 7,819 მოწონება აქვს.[154]

152 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/SputnikGeorgiaRu/
153 ბოლო წვდომა 26 მარტი 2022 https://www.facebook.com/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96-%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98-1675642542697030
154 ბოლო წვდომა 29 აგვისტო, 2021 https://www.facebook.com/TheCaucasianTelegraph

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.INTERNEWS.GE

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.INTERNEWS.GE